საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 25 თებერვალი, 2015 წელი.

№36 (7681)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.



ვინ არის ალასანია?

4

ტელევიზიით ყოველი მისი გამოსვლა სიტყვების რახარუხია. ალასანიას გამონათქვამებში ვერ იპოვით ინტეგრალური პოლიტიკის ნასახსაც კი.

პიროვნულად მასთან არავითარი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ, თუ ის საზღვარგარეთელი პოლიტიკური წრეების დახმარებით საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოექცევა, ქვეყანა ჩამოგვექცევა.

მხარს გიჭერთ და... ბრალს გდებთ!

ახლა როგორ მოვიქცეთ, როდემდე ვუცქიროთ ორმილიარდიან სასახლეში გამოჭიმულ უუფლებო პრეზიდენტს, რომელსაც ერთადერთი რამ შეუძლია – მთავრობისთვის ნერვების მოშლა?! პრეზიდენტს, რომელსაც ორი ბატი (მით უფრო ნაციონალი და არასამთავრობოელი) რომ მიაბარო, ერთს თანამდებობაზე თვითონ დანიშნავს, მეორეს კი დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენს?!

3

2

რა უპასუხეს იუსტიციის საბჭოს წევრებმა ნინო გვენეტაძეს

თუკი ნინო გვენეტაძე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ მოგვევლინება, საინტერესოა, რა პასუხს გასცემენ მას ის მოსამართლეები, რომლებმაც უკანონოდ გათავისუფლებულ მოსამართლეებზე საკმაოდ ცივი და არაკომპეტენტური რეაგირება მოახდინეს. ან რა ბერკეტებით შეეცდება ახალი თავმჯდომარე ასეთი მოსამართლეების შეცვლას?!

„ქართული ფიზიოლოგიის „სამოციანელი“

5

ვალერიან ოკუჯავა – 85

ღირსეულად და უღალატოდ გავლილი წლები

6

ნოდარ ნადირაძის – 70

ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად მიღებული ზარალი წლიურად 518 მილიარდ დოლარს აღემატება

11

8

ისევ ხოკოს კარიერის შესახებ

ჭუჭყიან ფულზე გაცვლილი სამშობლო?!

ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები

EUR	1	ევრო	2.4832
USD	1	აშშ დოლარი	2.1971
GBP	1	დიდი ბრიტანეთის გ/სტ.	3.3701
RUB	100	რუსული რუბლი	3.4326
AZN	1	აზერბაიჯანული მანათი	2.1290
AMD	1000	სომხური დრამი	4.6080
UAH	10	უკრაინული გრივნა	0.7324
TRY	1	თურქული ლირა	0.8850

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ალიან-ჩალიანი

ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირი კიდევ უფრო გაღრმავდება

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ესტონეთის პრეზიდენტს ტოომას ჰენდრიკ ილვესს ესტონეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს.

„თქვენო აღმატებულებავ, ნება მომეცით გადმოგცეთ ჩემი გულითადი და წრფელი მოლოცვა ესტონეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

ვიყენებ რა ამ შესაძლებლობას, მსურს, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია ესტონეთის რესპუბლიკასთან მეგობრული ურთიერთობის განვითარება. მჯერა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ისტორიული კავშირი და მჭიდრო თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდება და გაღრმავდება ორივე ერის წარმატებისათვის. თქვენო აღმატებულებავ, მინდა, გამოვხატო ღრმა პატივისცემა თქვენ მიმართ და ვუსურვო ესტონელ ხალხს მშვიდობა და კეთილდღეობა“, — ნათქვამია გიორგი მარგველაშვილის მილოცვაში.

ესტონეთის ტრანსფორმაცია მაგალითია საქართველოსთვის

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ესტონეთს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს. აღნიშნულთან დაკავშირებით ღარიბაშვილი მისალოც წერილს ესტონელ კოლეგას უგზავნის.

„ძვირფასო პრემიერ-მინისტრო, გულწრფელად გილოცავთ ესტონეთის დამოუკიდებლობის დღეს და ვუსურვებ თქვენს ქვეყანას და ხალხს მშვიდობასა და კეთილდღეობას. აღვნიშნავ, რომ ესტონეთის ტრანსფორმაცია არის ძლიერი, დემოკრატიული და წარმატებული სახელმწიფოს მშენებლობის მაგალითი საქართველოსთვის. კერძოდ, ესტონეთი, როგორც ერთგული მეგობარი, გვიზიარებს გამოცდილებასა და ცოდნას რეფორმების განხორციელებაში, რომლებიც აუცილებელია ევროპულ ოჯახსა და ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებისთვის.

ჩემთვის უაღრესად სასიხარულო იყო ესტონელთა უკანასკნელი ვიზიტები, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს ჩვენს ქვეყნებს შორის ყველა სფეროში განსაკუთრებული თანამშრომლობის სოლიდარობა და მხარდაჭერა. კიდევ ერთხელ, ძვირფასო მეგობარო, გისურვებთ წარმატებებს“, — ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ესტონეთის პრემიერისადმი გაგზავნილ წერილში.

პრემიერი სოფელ დიცში საბავშვო ბაღის გახსნას დაესწრო

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცში საბავშვო ბაღი გაიხსნა. გამყოფ ხაზთან მდებარე სოფელს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ამერიკისა და ლატვიის ელჩებთან, დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებთან და მთავრობის წევრებთან ერთად ესტუმრა.

„ჩემთვის ემოციური დღეა, რადგან დიცი ჩემი სოფელია, სადაც ბავშვობაში ხშირად ჩამოვდიოდი. აქ 25 წელიწადი არ ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღი და ჩვენი მეგობრების მხარდაჭერით დღეს გავხსენით ახალი ბაღის შენობა. მინდა, მხარდაჭერა გამოგიცხადოთ მთავრობისა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების სახელით“, — აღნიშნა პრემიერმა დიცში სტუმრობისას.

მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა ლატვიის რესპუბლიკის საელჩოს საქართველოში საბავშვო ბაღის სრული ტექნიკური აღჭურვისთვის და განხორციელებულ პროექტს ქვეყნებს შორის მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი უწოდა.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით კი, მნიშვნელოვანია, რომ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობა გრძნობდეს მხარდაჭერას.

ლატვიის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ელიტა გაველემ სოფელ დიცში საბავშვო ბაღის გახსნას მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა. მისივე განცხადებით, პრემიერ-მინისტრისა და დიპლომატების სტუმრობა დიცში, კიდევ ერთი დასტურია იმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლებისთვის გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლები და მათი პრობლემები. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცში 25 წელია, რაც საბავშვო ბაღმა ფუნქციონირება შეწყვიტა.

ზამბიის პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელი გადაეცა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩმა ბექა დვალმა, რომელიც, ასევე, მავრიკიის, მადაგასკარის, მოზამბიკის, ზიმბაბვეს, ბოცვანასა და ზამბიის რესპუბლიკებში ელჩის უფლებამოსილებას ითავსებს, ზამბიის პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელი გადასცა. საგარეო უწყების ინფორმაციით, ზამბიის პრეზიდენტმა ედგარ ჩაგვა ლუნგუმ ქართველი დიპლომატი დედაქალაქ ლუსაკაში მიიღო.

მათივე განმარტებით, ეს ზამბიის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის (რეზიდენციით ქ. პრეტორია) პირველი სამუშაო ვიზიტია.

„რწმუნებათა სიგელების გადაცემის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას და ზამბიის პრეზიდენტთან პირადი საუბრისას, საქართველოს ელჩმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობაზე, ასევე, ხაზი გაუსვა საქართველოს მზადყოფნას, განავითაროს პარტნიორული ურთიერთობები ზამბიის რესპუბლიკასთან ორხმრივად საინტერესო ისეთ სფეროებში, როგორიცაა: პოლიტიკური დიალოგი ორმხრივ ფორმატში და საერთაშორისო ფორუმებზე, სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობები, კულტურა, ხელოვნება და სხვა.

საქართველოსთან ურთიერთობებზე საუბრისას, ზამბიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედგარ ჩაგვა ლუნგუმ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა დაინტერესებულია საქართველოსთან უკვე არსებული პარტნიორული კავშირების გაღრმავებით“, — აცხადებენ საგარეო უწყებაში.

◎ უზენაესი ინტერესები???

რა უპასუხეს იუსტიციის საბჭოს წევრებმა ნინო გვენეტაძეს

იუსტიციის **უმაღლესი საბჭო სულმოუთქმელად ელოდება ახალი ხელმძღვანელის დანიშვნას. დაამტკიცებს თუ არა პარლამენტი პრეზიდენტის წარდგენილ კანდიდატს, თუ პროცედურა გაიწელება, ისევ აქტუალურ თემად რჩება. იუსტიციის საბჭოს საკანონმდებლო ორგანოს „აქტიური მუშაობის“ და „კონსენსუსის“ მწარე გამოცდილება აქვს, ვინაიდან დეპუტატებმა მთელი წელიწადი ვერ მოახერხეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მე-15 წევრის შერჩევა და ამიტომაც ნაკლულად, მხოლოდ 14 წევრით უწევდა საბჭოს ფუნქციონირება... ალბათ, ლოცულობენ, რომ პროცესი ამჯერადაც გაჭიანურდეს, ან კანდიდატი არ დამტკიცდეს, ვინაიდან ნინო გვენეტაძის წინაშე ნამდვილად შერცხვნენ...**

ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბროთ.

როგორ მუშაობს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ასრულებს თუ არა მოვალეობებს და აქვს თუ არა ამ ორგანოს ფუნქციური დატვირთვა? — ამასთან დაკავშირებით მესამე სექტორის ანგარიში გამოქვეყნდა, სადაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ გასულ წელს საბჭო გააქტიურდა და განსახილველ საკითხთა სიუხვითაც გამოირჩეოდა. საბჭო 9 მოსამართლის და 6 არამოსამართლე წევრისგან შედგება. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ არამოსამართლე წევრთა ინიციატივით დაიწყო დისკუსია რამდენიმე მნიშვნელოვან თემაზე. მაგალითად, **დისციპლინური საჩივრების განხილვის გაჭიანურებული პროცესის დაწყება, მოსამართლეთა შერჩევის წესში ცვლილებების შეტანა, უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ მოსამართლისთვის ვადის გაგრძელების შესახებ საკანონმდებლო ბაზის შექმნა, მოსამართლეთა უკონკურსოდ დანიშვნისას ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნების გამოყენება და ა. შ.** ანუ არამოსამართლე წევრების აქტიურობამ საბჭოში რეალურად გააჩინა განსხვავებული მოსაზრებები, იმის მიუხედავად, რომ რაოდენობრივად ისინი გადაწყვეტილების მიმღებ ძალას არ წარმოადგენენ.

ყველაზე საინტერესო, რაც მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, ისაა, რომ იუსტიციის საბჭოს წევრებსა და იუსტიციის სამინისტროს შორის კავშირი თითქმის არ არსებობს, მათ უჭირთ ერთმანეთთან კომუნიკაცია. თავის მხრივ, საბჭო არ თანამშრომლობს მოსამართლეთა კორპუსთან, რაც თავისთავად აფერხებს მუშაობის პროცესს, ურთიერთობის ღიაობასა და გამჭვირვალობას.

მაგალითად, ერთ-ერთ პრობლემად გამოიკვეთა იმ მოსამართლეთა საკითხი, რომელთაც უფლებამოსილების ვადა 2014 წლის 15 დეკემბერს ეწურებოდათ. საბჭომ მათ ვადა გაუგრძელა იქამდე, ვიდრე განსახილველ საქმეებს დაამთავრებდნენ. არამოსამართლე წევრებმა კი ეჭვი გამოთქვეს, რომ აღნიშნული მოსამართლეები განზრახ აჭიანურებდნენ მათთვის დაწერილი საქმეების განხილვის დროულად დასრულებას.

ნინო გვენეტაძე, რომელიც შესაძლოა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდეს, საბჭოს განსახილველ საკითხთა ნუსხაში ფიგურირებს. 2014 წლის 18 მარტს იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრებმა სხდომაზე ყოველგვარი რეაგირების გარეშე დატოვეს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნა, რომელიც საკანონმდებლო ორგანომ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ გადაუგზავნა. აღნიშნული დასკვნა შეეხებოდა უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეების მერაბ ტურავას, ნინო გვენეტაძის, თამარ ლალიაშვილისა და მურმან ისაევისთვის უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე უკანონოდ შეწყვეტას. დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ 2005-2006 წლებში წინა ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური მოტივით, უკანონოდ და თვითნებურად განხორციელდა დისციპლინური დევნა. **არამოსამართლე წევრებმა ამ საქმესთან დაკავშირებით, დეტალური ანალიზი და სამართლებრივი ასპექტები წარმოადგინეს, მაგრამ საბოლოოდ საბჭოს მოსამართლე წევრებმა „იმსჯელეს“ და ფორმალური საფუძვლების მითითებით აღნიშნეს, რომ საბჭოს არაფრის გაკეთება არ შეუძლია.**

მონიტორინგის ანგარიშში ამასთან დაკავშირებით ასეთი განმარტებაა გაკეთებული, რაც თავის მხრივ ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, თუ როგორი პოლიტიზებულია დღეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო: **„მონიტორინგის ჯგუფი მიიჩნევს, რომ საბჭოს უმრავლესობით (მოსამართლე წევრების მიერ) მიღებული გადაწყვეტილება ვერ შეფასდება, როგორც საბჭოს თანამიმდევრული, ერთგვაროვანი, პრინციპული პოზიცია, თავისუფალი ყოველგვარი პოლიტიკური თუ ვიწრო ჯგუფური ინტერესებისგან. აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდნენ ის ადამიანებიც (საბჭოს წევრები), რომლებიც თავიანთი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, სავარაუდოდ მონაწილეობდნენ მოსამართლეთა ზეწოლაში, რაზეც მითითებული იყო პარლამენტის კომიტეტის შესაბამის დასკვნაში, თუმცა, მათი მხრიდან არ ყოფილა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისგან თავის შეკავების მცდელობა ინტერესთა კონფლიქტის საფუძვლით“.**

თუკი ნინო გვენეტაძე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ მოგვევლინება, საინტერესოა, რა პასუხს გასცემენ მას ის მოსამართლეები, რომლებმაც უკანონოდ გათავისუფლებულ მოსამართლეებზე საკმაოდ ცივი და არაკომპეტენტური რეაგირება მოახდინეს. ან რა ბერკეტებით შეეცდება ახალი თავმჯდომარე ასეთი მოსამართლეების შეცვლას?!

რაც შეეხება საბჭოს პოზიციას მოსამართლეთა მიმართ შეურაცხყოფის ფაქტებზე, რეკომენდაციის სახით გამოთქმულია მოსაზრება, რომ საბჭომ უნდა უზრუნველყოს ერთგვაროვანი მიდგომა მოსამართლეთა მიმართ ზეწოლისა და შეურაცხყოფის შემთხვევებზე და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იხელმძღვანელოს არა ფორმალური მიდგომებით, არამედ მართლმსაჯულების უზენაესი ინტერესებით.

შეძლებენ კი ამ მიდგომებით და სუფთა სინდისით მოქმედებას ის მოსამართლეები, რომლებიც აქამდე ანგაჟირებულად და პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე მსჯელობდნენ და მუშაობდნენ?! ეს თავსატეხი, სავარაუდოდ, ახალ თავმჯდომარესაც გაუჩნდება. თუ როგორ ფორმას მიიღებს ორი დაპირისპირებული ფრთის თანამშრომლობა, ეს უკვე მომავალი დღეების განსახილველი საინტერესო თემებია...

თეა მოსია

აფხაზებთან და ოსებთან დიალოგში რუსეთმა ხელი არ უნდა შეგვიშალოს

როგორც **რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ „რია ნოვოსტისთან“ ინტერვიუში განაცხადა, საქართველო აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის ახალ ფორმებს განიხილავს და მიესალმება, თუ მოსკოვს ექნება გაზრახვა, პირდაპირ კონტაქტებს ხელი შეუწყოს.**

„თუ დიალოგი დაიწყება და რუსეთი სინამდვილეში ხელს შეუწყობს პირდაპირ დიალოგს ჩვენსა და აფხაზებს, ჩვენსა და ოსებს შორის და ამის მოტივირებას მოახდენს, მზად ვართ, სტატუსთან დაკავშირებული საკითხები გარკვეული დროით გვერდზე გადავდოთ და ისეთი საკითხები განვიხილოთ, როგორიცაა ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ბიზნესი, განათლება, ჯანდაცვა, წყალი, გაზი. მოდი, გადავწიოთ საერთო წითელი ხაზები და დავიწყოთ ადამიანური პრობლემებით“, — განაცხადა აბაშიძემ.

მხარს გიჭერთ და... ბრალს გდებთ!

ПРОЛОГИ

ᲐᲛ კაცს ისევ სჯერა, რომ ივანიშვილი ღია წერილებს კითხულობს?! – იტყვის მავანი.

ერთი ბარათი ობამასთვისაც ხომ არ მიეწერა, იქნებ ის მაინც დახმარებოდა, – არცთუ უსაფუძვლო სარკაზმს გაურეკავს მეორე, რადგან ეჭვიც არ შეეპარება, რომ ისევ გაზეთ „თბილისის“ აღდგენის საკითხზე ვწერ.

ზოგ-ზოგსაც ასე ეგონება და მხარდაჭერას უყოყმანოდ გამომიცხადებენ, – ამ ერთხელაც სცადოსო...

მე კი, **დავით ნარმანიასგან** საფუძვლიანად დაიმედებული, ამჯერად, „თბილისის“ პრობლემას არ ვეხები. სხვა საწუხარიც ხომ უამრავია...

* * *

ᲦᲘᲐ წერილების კითხვისა რა მოგახსენოთ, ზოგადად კი ივანიშვილისა ჯერ კიდევ მჯერა.

ოღონდ, არ ვიცი, როგორ გავაგებინო ეს იმ გაწბილებულ ადამიანებს, ყველაზე უეჭველ ფაქტებსაც კი უკვე საეჭვოდ რომ ხდიან – თითქოს, არც სამების დიდი ტაძარი აშენებულა, არც „ნაციონალური ჭირისგან“ გათავისუფლებულა ჩვენი ქვეყანა. უკვე ისიც აღარ სჯერათ, რომ **მერაბიშვილი, ახალაია** და **უგულავა** ციხეში სხედან...

გათავისუფლებულა?

სულო ცოდვილო, ეს ხომ თავადაც მაეჭვებს?!

პარლამენტში – ისინი!

საკრებულოში – ისინი!

უნივერსიტეტში – ისინი!

ყველგან – ისინი!..

არ ყოფილა „ნაციონალური ჭირი“ ადვილად მოსაშორებელი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლელთ ღუნიას ტკივილი კვლავაც მოურჩენელია და ჩვენი ბედის უცხო გამგებელნი მასთან(ჭირთან) ჩახუტებას(კოჰაბიტაციას) კატეგორიულად მოითხოვენ...

როგორ შეიძლება, ამ ჭირისგან გათავისუფლება რეალობად ვირწმუნოთ, როცა უნივერსიტეტის პროფესორს (თანაც აკადემიური საბჭოს წევრს) დღესაც ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ალმა მატერის „ნაჯახით ამოძირკვის“ მოსურნე **ლომაიას** ფოტო ასეთი წარწერით უდევს: „ჩემი საყვარელი მინისტრი. მინისტრთა მინისტრი.“

და ეს თქვენი ბრალია, ბატონო ბიძინა, რადგან პარლამენტის განათლების კომიტეტში **ელისო ჩაფიძე** გიზით...

ნუ გაგაოცებთ ასეთი ბრალდება.

შოთა ნიშნიანიძეს აქვს ასეთი სტრიქონი; **„ქვეყნად ყოველი უსამართლობა მაინც სიმართლის სახელით ხდება.“**

2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ, საქართველოში **„ყოველი უსამართლობა თქვენი სახელით ხდება.“**

ეს თქვენი ბედისწერაა.

ეს გზა თავადაც აირჩიეთ.

ამას უნდა შეეგუოთ...

უნივერსიტეტით შემთხვევით არ დავიწყე.

უნივერსიტეტი სამშობლოს გულია. ქვეყნის მაჯისცემა მუდამ იქიდან მოისმოდა.

დღეს კი „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“, რადგან,

საუბედუროდ, ჩვენი სამშობლოს მაჯაზე ხელი კვლავაც ნაც(იონალ)ებს უდევთ.

მათ კი სამშობლოს გულისტკივილი არ ესმით.

არც არასდროს ესმოდათ.

მათთვის სრულიად მიუწვდომელია **გალაკტიონის** წუხილი: **„ამ ბნელი ღამით ვიღაც კვნესის საქართველოში“...**

ნაც(იონალ)ებს რა უნდა მოვკითხოთ, როცა ამის მთქმელი მთლად გვერდითა გყავთ: **„ილია ჭავჭავაძე? – ასეთ მწერალს არ ვიცნობ.“**

არ გეგონოთ, ეს დიდი განათლების ბრალი იყოს. განათლებული კაცი ილიაზე ამას არ იტყვის. საერთოდ, ნუ მოგნუსხავთ მითი ბერძენიშვილის განსწავლულობაზე. აი, ნახეთ **ჰომეროსის „ილიადას“** როგორ თარგმნის: **„როგორც მთის მწვერვალებზე დაღვრის ნისლს ნოტოსი, რომელიც მწყემსისთვის საზიანოა, ქურდისთვის კი ღამეზე უკეთესია, როდესაც გასროლილ ქვაზე უფრო შორს ვერაფერს ხედავ; – ასე მათი ფეხებიდან ავარდნილი მტვრის ღრუბელი უკან მიჰყვებოდა, როდესაც ველზე სწრაფად მიდიოდნენ“...**

ასე ჰომეროსი კი არა, იონა ვაკელიც არ წერდა!

სწორედ ასეთ მთარგმნელს აფასებდა **ილიას** ულმობელი სარკაზმი: **„ხელი გავიქნიე ფეხი.“**

* * *

ᲓᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ

ᲓᲐ, მაინც, მუდამ თქვენს გამართლებას ვცდილობ, მაგრამ ყოველთვის არ გამომდის: კი, ბატონო, რეს-პუბლიკელებზე უარს ვერ იტყოდით, ვერც **ირაკლი ალასანიაზე,** მაგრამ **ელისო ჩაფიძე** და **კოკა ყანდიაშვილიც** თავს ამერიკამ მოგახვიათ?!

მარგველაშვილიც?!

მეც კი ვიცოდი, მისი უპირველესი მეგობარი **თემურ იაკობაშვილი** რომ იყო და თქვენ არ იცოდით?!

არც კოკამ იცოდა?!

იქნებ, ეს ანდაზაც არ გსმენოდათ: **„მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენ.“**

რატომ გჯეროდათ მისი ასე გულუბრყვილოდ და ჩვენც რატომ გვარწმუნებდით, რომ ყველა საუკეთესო თვისებით იყო შემკული?!

ახლა როგორ მოვიქცეთ, როდემდე ვუცქიროთ ორმილიარდიან სასახლეში გამოჭიმულ უუფლებო პრეზიდენტს, რომელსაც ერთადერთი რამ შეუძლია – მთავრობისთვის ნერვების მოშლა?! პრეზიდენტს, რომელსაც ორი ბატი (მით უფრო ნაციონალი და არასამთავრობოელი) რომ მიაბარო, ერთს თანამდებობაზე თვითონ დანიშნავს, მეორეს კი დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენს?!

* * *

„ᲔᲠᲡ რომ ამდენი მოღალატე ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს“ – კონსტანტინე გამსახურდიას ეს სიტყვები ყველაზე მწარედ მის უღირსეულეს შვილს აუხდა.

რეალურია საფრთხე, რომ ,,ქართულ ოცნებასაც“ ასე დაემართოს.

ნაციონალების დარჩენა ისე საშიში არ იყო, როგორც მათი მობრუნება იქნება...

ეს ღმერთმა ნუ ქნას!

საქართველო მაშინ ნამდვილად დაიღუპება და ეს ყოველივე თქვენ დაგბრალდებათ.

დიახ, დიახ, თქვენ დაგბრალდებათ.

მაშინ მართლა დაივიწყებენ ყველა სიკეთეს, რაც კი ქვეყნისთვის გაგიკეთებიათ.

იმასაც კი დაივიწყებენ, რაც პირადად მათთვის გაგიკეთებიათ.

არადა, რამდენისთვის გაგიკეთებიათ?!

სხვათა შორის, საფუძვლიანი პრეტენზიები აქაც გაჩნდება.

იცით, რამდენი ტრაბახობს, რომ მავანს და მავანს თქვენგან დახმარების მიღება ჩაუწყო?

მაგრამ რამდენმა ღირსეულმა პიროვნებამ ამას ვერ მიაღწია?!

აი, ერთი მაგალითი: „ნაციონალური“ ხელისუფლების დროს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტიდან სრულიად უკანონოდ გაუშვეს თეატრმცოდნე, ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი, ვინც თავის პროფესიას ღირსება და პრესტიჟი გადაურჩინა, ვინც არასოდეს გაყიდულა პრემიებსა და თანამდებობებზე და მარტოხელა ქალბატონი, ფაქტობრივად, გაწირეს. **გია როინიშვილს** ახლახან რომ შევახსენე, მაშინ ის პიროვნება რატომ არ დაიცავი-მეთქი, მიპასუხა, გავიბრძოლე, მაგრამ ვერაფერს გავხდი იმის გარდა, რომ რექტორი დაისაჯაო. და იცით, როგორ დაისაჯა? – დღესაც რექტორია, ხელმეორედ (თუ მესამედ?!) უკვე თქვენი მმართველობის დროს არჩეული(?!)...

არაერთმა სცადა მაშინ იმ ქალბატონის შესახებ თქვენთან შუამდგომლობა, მაგრამ ამაოდ.

ერთხელ **ნანი ბრეგვაძემ** მითხრა (და ეს გამოქვეყნებულია), ბიძინა ივანიშვილს არ სჭირდება კარნახი, ვის დაეხმაროს, მან ეს თვითონ შესანიშნავად იცისო...

ვაღმერთებ ქალბატონ ნანის, მაგრამ აქ ვერ დავეთანხმები, თუმცა, მის გულწრფელობაში (თუ გულუბრყვილობაში?) ეჭვი არ შემაქვს. ყველამ იცის, რომელმა მსახიობმა ან მომღერალმა უნდა უშუამდგომლოს ადამიანს, თქვენამდე რომ მოაღწიოს...

მაგრამ რა უფლება გვაქვს, ამის გამო პრეტენზია წამოგიყენოთ?

ფული თქვენია და ნებაც თქვენია!

უბედურება ის იქნება, ვისაც დაეხმარეთ, უმადურობას სწორედ ისინი თუ გამოიჩენენ.

ამის ნიშნები კი ილანდება.

* * *

ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲡ, ვისაც აქ ვგულისხმობ, უმადურობას ნამდვილად ვერ დავწამებთ, პირიქით, თქვენი უსაზღვროდ მადლიერია, ამბობს, რომ თქვენ გადაარჩინეთ, მაგრამ ამას წინათ, გულისტკივილით, ესეც ხმამაღლა თქვა: **„ასე მგონია, ჩვენს მთავრობას გაშეშება დაემართა!“**

მთლიანად ხელისუფლებას გულისხმობდა და არა კონკრეტულად მთავრობას.

დიდი უსამართლობა იქნებოდა, **ირაკლი ღარიბაშვილზე, დავით სერგეენკოზე, გიორგი კვირიკაშვილზე** ასე გვეფიქრა.

* * *

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ პრობლემა მაინც მოღალატეობაა.

ნაც(იონალ)ებს რას ვერჩით, როცა თქვენი გუშინდელი თანამებრძოლები ასეთი წრეგადასული გაბოროტებით გებრძვიან?!

რას დაემსგავსნენ ალასანია და მისი გუნდის წევრები?!

ოღონდ, ნუ ვიტყვით, რომ ეს მაინცდამაინც ქართული მოვლენაა. ნახეთ, რას აღნიშნავს ირანელი მწერალი **მოჰამადალი ესლამი ნოდუშანი: „რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი ბრძანება დანიშვნის თაობაზე პატივსა და ღირსებას ანიჭებს პიროვნებას, ცოდნასა და განსწავლულებასაც უწყალობებს მას, ხოლო მოხსნის თაობაზე გაცემული ბრძანება ყოველივე ამას ელვისებური სისწრაფით ჩამოართმევს. აზროვნების ამგვარი წესი საზოგადოების გონებრივი და კულტურული დაცემის სავალალო ნიშანია.“**

ზუსტი ახსნაა, ოღონდ, ბოლო ფრაზას ვერ დავეთანხმები: საზოგადოება არაფერ შუაშია. ეს პირადად მათი გონებრივი და კულტურული დაცემაა, რასაც საზოგადოება სრულიად ადეკვატურად ხედავს და აფასებს. სოციალურ ქსელში ალასანიასა და მის თანაგუნდელებზე

ისეთი კომენტარები იწერება, მტერსაც რომ არ ვუსურვებდი. რას ვიზამთ, მათ ეს ჭეშმარიტად დაიმსახურეს. ეს იმიტომ ხდება, რომ უსკამოდ არაფერს წარმოადგენენ, მხოლოდ თანამდებობა ანიჭებთ პატივს, ღირსებასა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ცოდნა-განსწავლულობასაც. სკამის დაკარგვით კი ეს ყოველივე უკვალოდ ქრება.

ყველაფრის დაკარგვას შეეგუებიან, პატივის გარდა. სწორედ ამის გამო „შფოთვენ და დრტვინვენ.“

გაბუნიასა და **გრიგოლიასაც** მეტი რა უნდათ, მათს ღვარძლიან გამოსვლებს დღეგამოშვებით გვასმენინებენ; ისინი ან მათს გადაცემებში არიან, ან რეგიონებში, საიდანაც ახალ-ახალ „აღმოჩენებს“ გვთავაზობენ: თურმე, სოფლად ჩვენს ხალხს ძალიან უჭირს. მათი მინისტრობის დროს არ უჭირდა. აუცილებლად მთავრობიდან უნდა გაგაგდონ, ხალხის გაჭირვება რომ გაიგო.

აი, გონებრივი და კულტურული დაცემის მართლაც სავალალო ნიშანი.

ოღონდ თანამდებობადაკარგულთა და არა საზოგადოებისა.

საზოგადოების გონებრივი და კულტურული დაცემის ნიშანი ის იქნება, თუ მადლიერების უნარს დაკარგავს და აღარაფრად ჩააგდებს **ილიას** გაფრთხილებას – ქართველებს უმადურობა დაგვღუპავსო.

ეს ღმერთმა ნუ ქნას...

ᲔᲞᲘᲚᲝᲒᲘ

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ, თუ ამ წერილს წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ მის ტექსტში ისე არ წვიმს, როგორც სათაურში ქუხს. ბრალმდებლად აშკარად ვერ გამოვდექი. არ შემიძლია, უმადური ვიყო. ასეთად რომ ვიქცე, ეტყობა, ჯერ თანამდებობა უნდა მომცენ და მერე წამართვან... დიდი ხნის წინათ, **ემილ ზოლამ** სულ სხვა საკითხზე მიმართა საფრანგეთის პრეზიდენტს და წერილი („ბრალს ვდებ“) ასე დაამთავრა: **„ერთადერთი, რაც მიტაცებს, არის სინათლე კაცობრიობის სახელით, კაცობრიობისა, რომელიც დიდხანს იტანჯა და აქვს უფლება იყოს ბედნიერი.“** ზოლა დიდი მწერალი იყო და მთელს კაცობრიობაზე ზრუნავდა, მე კი ჩემი სამშობლოს ბედი მაწუხებს, სამშობლოსი, „რომელიც დიდხანს იტანჯა და აქვს უფლება იყოს ბედნიერი.“ ფრანგი მწერლის სულ ბოლო ფრაზას კი გულწრფელად გავიმეორებდი: „მიიღეთ ჩემგან ჩემი ღრმა პატივისცემა“...

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲯᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ

ახლა როგორ მოვიქცეთ, როდემდე ვუცქიროთ ორმილიარდიან სასახლეში გამოჭიმულ უუფლებო პრეზიდენტს, რომელსაც ერთადერთი რამ შეუძლია – მთავრობისთვის ნერვების მოშლა?! პრეზიდენტს, რომელსაც ორი ბატი (მით უფრო ნაციონალი და არასამთავრობოელი) რომ მიაბარო, ერთს თანამდებობაზე თვითონ დანიშნავს, მეორეს კი დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენს?!

ვინ არის ალასანია?

ალასანია პოლიტიკისთვის მეტად შეუფერებელი ინდივიდია. საიდან გამიჩნდა ამგვარი მოსაზრება? — საერთოდ, პოლიტიკით დასაქმებული ყველა პირის მოღვაწეობით ვინტერესდები, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქე, რომელსაც გული შესტკივა სამშობლოზე. ამიტომ ჩემი დაინტერესება ალასანიას საქმიანობით გამონაკლისი არ არის.

ტელევიზიით ყოველი მისი გამოსვლა სიტყვების რახარუხია. ალასანიას გამონათქვამებში ვერ იპოვით ინტეგრალური პოლიტიკის ნასახსაც კი.

პიროვნულად მასთან არავითარი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ, თუ ის საზღვარგარეთელი პოლიტიკური წრეების დახმარებით საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოექცევა, ქვეყანა ჩამოგვექცევა.

ბოლოს და ბოლოს, ქართველმა ხალხმა წარსული გაკვეთილებიდან ხომ უნდა გამოიტანოს დასკვნები და კვლავ არ დაუშვას ავანტიურისტების მოსვლა ხელისუფლებაში.

ალასანიას პოლიტიკური უმეცრების შესახებ რამდენჯერმე დამიწერია, მაგრამ მას იმდენად თავს გაუვიდა, რომ საჭიროდ ჩავთვალე ქართველი ხალხისათვის კვლავ შემეხსენებინა მისი არასწორი საქციელი (რბილად ნათქვამია).

ალასანიას მიმართვა ქართველი ხალხისადმი კი არ იყო, არამედ ამერიკელებისადმი. მისი გამოსვლის ქვეტექსტი ასე იშიფრება: საქართველოში ევროატლანტიკური ალიანსი საფრთხეშია, არიქა, მოგვეშველეთ, დაძარით სამხედრო გემები შავი ზღვისკენ, რათა ამ ალიანსის უარმყოფელი ხელისუფლების ჩამოგდებაში დამეხმაროთ. ამ განცხადების შემდეგ ალასანიას მყისიერად მოხსნა გამართლებულია. თუ საზღვარგარეთი გამოესარჩლება მას, ხელისუფლების გარშემო მთელი ქართველი ხალხი უნდა დაირაზმოს, თუ არ გვსურს ქვეყანაში გაუგონარი ხოცვა-ჟლეტა მოხდეს.

მოვლენები მეტად მარტივი ასახსნელია. ამერიკელებს და ევროპელებს სურთ საქართველო ურთიერთობდეს მხოლოდ მათთან, ხოლო ქართველ ხალხს სურს ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის, რასაკვირველია, რუსეთთან, ეს ნორმალურია და საწინდარია სახელმწიფოთა შორის შუღლისა და ქიშპობის პირობებში ერის გადასარჩენად. ამჟამინდელი ხელისუფლებაც ამ პლატფორმაზე დგას, რაც ხალხის სურვილის შეესატყვისება. მართალია, ამერიკელები და ევროპელები მოგვიწოდებენ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებისაკენ, მაგრამ მათ მაინც ურჩევნიათ საქართველოს ხელისუფლების სათავეში იყოს მათი ყურმოჭრილი მარიონეტი, რომელიც მათ დაკრულზე იცეკვებს და რუსეთის მიმართებით შესაჩიჩხინებელი ინსტრუმენტი იქნება — არ ანაღვლებთ ის გარემოება, რომ შეიძლება საქართველო დიდი სახელმწიფოების ბრძოლის ველად გადაიქცეს.

ასეთ დროს საჭიროა ერის ერთი დროშის ქვეშ დარაზმვა, რათა დასავლეთის ქვეყნებს ვუჩვენოთ, რომ ქართველი ხალხი ერთგულია ზემოხსენებული პრინციპების და მას სისხლის ფასად არ დათმობს. როდესაც დაინახავენ, რომ ქართველი ხალხი არ იგუებს მარიონეტის ყოფნას ხელისუფლების სათავეში, დათმობაზე წამოვლენ და იმ ხელისუფლებას დაუჭერენ მხარს, რომელიც ქართველი ხალხის სურვილებს გამოხატავს და არა ალასანიას მაგვარ ცრუპოლიტიკოსებს და მარიონეტებს. რასაკვირველია, ჩვენ მომხრე ვართ დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობის და არა ვასალურისა.

— ჟურნალისტი ეკითხება ალასანიას — სწორი იყო თუ არა კოდორის ხეობაში ქართული შინაგანი ჯარის შეყვანა? — სააკაშვილის ამ ქმედებას ვამართლებ, — დაბეჯითებით პასუხობს იგი.

არადა, ეს ქმედება დანაშაულის ტოლფასი იყო! შემდგომში ეს მოსაზრება მოვლენების განვითარებამ კიდევ უფრო განამტკიცა.

ალასანიას ხმაც კი არ ამოუღია თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანის თაობაზე. არადა, ეს ქმედება აშკარად ეროვნული დანაშაულია. სწორედ, მავანი სახელმწიფოს მოთხოვნას — პარლამენტის თბილისიდან ქუთაისში გადატანას — მოჰყვა 1918 წლის დეკემბერში ომი.

ჩანს, ალასანიას წარმოდგენაც კი არ აქვს უახლეს ისტორიაზე.

— საზღვარგარეთელი ჟურნალისტი ეკითხება ალასანიას: საქართველოში ყოფილი თანამდებობის პირების დაპატიმრების შესახებ რას გვეტყვით? პასუხი: ეს გამოიწვია ემოციებმა, გაივლის იგი და სააკაშვილის გზას განუხრელად განვაგრძობთ.

ამას ამბობს იმ კოალიციის წევრი, რომელიც ქართველი ხალხის დაჟინებული მოთხოვნით ტაკიმასხარა, თაღლითი სააკაშვილის და მისი ბანდის წევრებს დიდი დანაშაულისათვის ასამართლებს. ამას ჰქვია ზურგში დანის ჩაცემა. ამ განცხადების შემდეგ ალასანია დაუყონებლივ უნდა გაერიცხათ კოალიციიდან და თანამდებობიდან მისი მოხსნის საკითხი დამდგარიყო.

— ობამამ, იმისთვის, რომ რუსეთს უკრაინაზე დარტყმები შეესუსტებინა, საჯაროდ განაცხადა: საქართველოს და უკრაინას ნატოსკენ გზა არა აქვს. ასეთ ვითარებაში ალასანია ითხოვს ნატოსგან სახსრებს, რათა მოეწყოს საქართველოს საჰაერო თავდაცვის ქსელი, რაც მილიარდობით დოლარი დაჯდება და ნატოს სამხედრო ბაზების ყოფნას საქართველოში. ეს ყველაფერი უკრაინასთან ომით აღგზნებული, აგრესორი რუსეთისთვის წითელი ნაჭრის აფრიალებას ნიშნავს. რასაკვირველია, ამ მარტივ სიტუაციაში ალასანია ერკვევა, მაგრამ ისეა აღტყინებული ხელისუფლების მწვერვალებისაკენ სწრაფვით, რომ მოწაფესავით იქცევა, — როდესაც მას გაკვეთილი კარგად აქვს მომზადებული და მასწავლებელს ორ თითს თვალების წინ უტრიალებს — მასწ. გემუდარები, მე მკითხე გაკვეთილიო. — საქართველოში მე ვარ მხოლოდ თქვენი ერთგული, გეხვეწებით, დამეხმარეთ ხელისუფლების ხელში ჩაგდებაში, შესთხოვს ალასანია დასავლეთს. საერთოდ მას ასე სჩვევია — ყველას ყელის გამოწევით ეხვეწება — ჩემი ტყუილი დაიჯერეთო.

თუ ალასანია განაწყენდება და მეტყვის: ძლიერი პოლიტიკოსი ვარო, მაშინ უპასუხოს შემდეგ კითხვებს: 1. საქართველოს რეალობას რომელი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ფორმაცია შეესატყვისება? დასახელების შემდეგ, არჩეული ფორმაციის შესატყვისობა დღევანდელობასთან დაამტკიცოს მეცნიერულად, ფილოსოფიურად და სამყაროსეული გაგებით; 2. ზუსტად დაასახელოს პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტი პრობლემები; 3. დაასახელოს ის ობიექტური ფაქტორები, რამაც განაპირობა საქართველოში წარმოშობილი პრობლემები; 4. გააანალიზოს უახლესი წარსულის მოვლენები და შეაფასოს ამ პერიოდში მოღვაწე მთავარი პოლიტიკოსების საქმიანობა.

დაბეჯითებით შემიძლია, განვაცხადო: ამგვარი კითხვები ალასანიას და მისი მხარდამჭერებისთვის უცხო ხილს წარმოადგენს.

ალასანიას მხარდამჭერებს ერთ ბრძნულ ანდაზას შევახსენებდი: მითხარი ვისთან მეგობრობ და გეტყვი ვინ ხარ.

ქართველ ხალხს კი ამ ლექსით მივმართავ:

„სიბრძნეს მიენდე, ქართველო შენა!
ერთგულად გაჰყევ მასა,
ქარი დაბერავს სულ მალე ზენა,
ქართის იღვიძებს რასა“.

გივი ჯაბუა.

P. S. ბატონი ირაკლისა და ქალბატონი მაიას მშობლებს კარგად ვიცნობდი, შესანიშნავი მოქალაქეები და თავდადებული მამულიშვილები იყვნენ. ქალბატონი დალი ამჟამადაც დაკავებულია მეცნიერებით და პედაგოგიური საქმიანობით. სამწუხაროდ, შვილებმა არ მოისურვეს მშობლების მიერ არჩეულ გზას დადგომოდნენ და კარიერის გასაკეთებლად დასაგმობ მეთოდებს იყენებენ — ტყუილს სიმართლედ წარმოგვიდგენენ, ადრე ნათქვამს უსირცხვილოდ გადათქვამენ, სურთ თითიდან რაღაც გამოწოვონ, რათა შემდგომში დემაგოგიისთვის გამოიყენონ. სწორედ ამ თვისების მატარებელ ადამიანებს უწოდებენ უპრინციპო ინტრიგანებს.

ახლა, როცა ქართველობა ერთად უნდა ვიდგეთ და ძირფესვიანად ვძირკვავდეთ სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენებს, ირაკლისა და მისი მომხრეების ქმედება სააკაშვილის მხარდამხარ დგომას ნიშნავს.

ალასანია ვერ აცნობიერებს იმ გარემოებას, რომ დასავლეთი არაა ერთგვაროვანი. არსებობენ ძალები, რომლებიც საქართველოს დაუძინებელი მტრები არიან და მათ ლომის წვლილი მიუძღვით სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში. ამჟამად ეს ძალები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა სააკაშვილი და მისი გუნდი საქართველოს ხელისუფლებაში დააბრუნონ. თუ ალასანია ვინმეს დათანხმდება და მოუსმენს ამ ძალების შესახებ, დარწმუნებული ვარ უაზრო ოპოზიციონერობას თავს დაანებებს და ქართველი ხალხის სამსახურში ჩადგება. თუ აღიარებს, ამ ძალების შესახებ ინფორმირებული ვარ და მაინც ასე ვიქცევიო, მაშინ მისი პერსონა სულ სხვა ასპექტშია განსახილველი.

წინამდებარე სტატიაში აღნიშნული ფაქტები ალასანიას მიერ საზღვარგარეთ თქმულ მოსაზრებებს ემყარება, ამის უარყოფა მას არ შეუძლია.

აშკარაა, ალასანიას არ ყოფნის პოლიტიკური განსწავლულობა, მაგრამ მას „ჩვეულებრივი“ ადამიანის დიპლომატია და სერიოზულობაც აკლია, არ არის გამჭრიახი, შორსმჭვრეტელი, სრულიად უსუსურია მოვლენების შეფასებისას, ამჟღავნებს უმადურობასაც.

გ. ჯ.

◉ ალიან-ჩალიანი

იმედით ცხოვრობენ... მეწარმეები

პურპროდუქტების მწარმოებელი კომპანიები პურზე ფასის გაზრდას არ აპირებენ. როგორც პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარემ მალხაზ დოლიძემ განაცხადა, ფქვილი გაძვირდა, თუმცა, არ მიუღწევია იმ კრიტიკული ნიშნულისთვის, რაც პურის ფასის მატებას გამოიწვევს. მისივე თქმით, შესაბამისად, მწარმოებელი კომპანიებს პურზე ფასის მატება არა აქვთ დაგეგმილი.

„ფქვილზე ფასის მატება მოქმედებს მეწარმეზე და თავად ფქვილის თვითღირებულებაზე, თორემ პურის ფასზე ამ დროისთვის არ მოქმედებს. როდესაც 42-43 ლარს აცდება 1 ტომარა ფქვილის ღირებულება, ეს არის კრიტიკული მომენტი და ამ შემთხვევაში მეწარმე გადახედავს ფასს. მეწარმე ფასს უმატებს იმ მიზეზით, რომ თვითღირებულებაში ჩაეტიოს და პატარა მოგებაც დარჩეს, სხვა შემთხვევაში წარმოება ვერ იარსებებს. პურის ფასი არის სოციალური ბარომეტრი და მისი ხშირად ცვლა არასასურველია ეკონომიკური თვალსაზრისით. მაქსიმალურად ვცდილობთ ხოლმე, რომ ფასი არ შეიცვალოს, რადგან ეს იწვევს ადამიანების უკმაყოფილებას, სოციალური ფონის შეცვლას“, — აღნიშნა დოლიძემ.

ამასთან, პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ შესრულდება პრემიერ-მინისტრის ნათქვამი და პურის მწარმოებელი კომპანიებისთვის ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახადი არ გაძვირდება.

„იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგია და ბუნებრივი აირიც გაგვიძვირდა, ფქვილი, მარილი და საფუარი უკვე გაძვირებული გვაქვს და ფასებიც გაიზრდება. კომპანიებს სხვა გზა აღარ დარჩებათ“, — განაცხადა დოლიძემ.

მეხორბლეთა ასოციაციის თავმჯდომარის ლევან სილაგავას განცხადებით კი, ფქვილი 2-3 ლარით გაძვირდა და მინიმალური ფასი 35-36 ლარიდან 37-38 ლარი გახდა. მისივე თქმით, ლარის კურსის ვარდნიდან გამომდინარე 1 ტონაზე 60-70 დოლარით გაძვირდა ხორბალიც. თუმცა, სილაგავას პროგნოზით, მიუხედავად ხორბალზე ფასის ზრდისა, არსებული მარაგების გამო მოკლევადიან პერსპექტივაში ფქვილის ფასის კიდევ უფრო გაზრდა და კრიტიკულ მომენტამდე მისვლა არ არის ნავარაუდევი.

დღეს გაღებული ერთი ლარი, ხვალ ორ და სამ ლარს უკან დაგვიბრუნებს

ასე გამოეხმაურა თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ავთანდილ სუდაძე ოპონენტების იმ განცხადებას, რომლის თანახმადაც, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები აღნიშნული შენობების მინათებისთვის გამოყოფილი 700 ათასი ლარის მიზნობრიობას ეჭვქვეშ აყენებენ.

„ჩვენ ვცვლით სანათებს ახალი ტიპის სანათებით, რომელიც საბოლოო ჯამში ეკონომიას იძლევა როგორც დანახარჯების ნაწილში, ასევე ექსპლუატაციის ნაწილში.

გარდა ამისა, ქალაქის იერსახეზე ზრუნვა ჩვენი ერთ-ერთი კომპეტენციაა და, შესაბამისად, ეს საჭიროება ქალაქის მასშტაბით აუცილებელია, დღეს გაღებული ერთი ლარი, ხვალ ორ და სამ ლარს უკან დაგვიბრუნებს“.

სემინარი სასათბურე მეურნეობის განვითარებისთვის

საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ორგანიზებით და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, თანამედროვე სასათბურე მეურნეობების შესახებ სემინარი გაიმართა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სემინარს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნოდარ კერესელიძე ესწრებოდა.

„სემინარის ძირითად თემას ჰოლანდიური ტიპის თანამედროვე სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვის მნიშვნელობა წარმოადგენდა. განიხილეს სათბურის უახლესი კონსტრუქციების, გადახურვის მასალების, გათბობის, ირიგაციის და ვენტილაციის სისტემების საკითხები. სემინარის ფარგლებში, მასტერკლასები გამართეს კომპანიების Foodventure-სა და Meeting-ის წარმომადგენლებმა, რომლებმაც თანამედროვე სასათბურე ტექნოლოგიების შესახებ პრეზენტაციები წარმოადგინეს“, — აცხადებენ უწყებაში.

ინტერპრესი

ვაჟა ოკუჯავას ნაშრომები უმაღლეს შეფასებას იმსახურებს და ისინი მეტად საინტერესოა თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიისათვის.

ივანე ბერიტაშვილი.

„საიუბილეო სხდომაზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მომიწყო, კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი ჩემს ცხოვრებას და დავრწმუნდი, რომ ყველაფერი არ არის ადამიანის პირად ღირსებაზე დამოკიდებული. მე იღბლიანი გამოვდექი...“

ვაჟა ოკუჯავა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი, 2010 წელი.



„ქართული ფიზიოლოგიის „სამოციანელი“

აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას დაბადების 85 წლისთავი

ვაჟა ოკუჯავა დაიბადა 1930 წლის 25 თებერვალს, თბილისში.

მამა - მიხეილ ოკუჯავა, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე იყო, დედა - ნინო მოდებაძე, ექიმი.

ოკუჯავების ოჯახს ოცდაათიანი წლების რეპრესიებმა უმძიმესი დარტყმა მიაყენა: მიხეილ ოკუჯავა, როგორც „ნაციონალ უკლონისტი“ დახვრიტეს, დააპატიმრეს და შემდგომ დახვრიტეს მისი მეუღლეც, ნინო მოდებაძე. ვაჟას უფროსი ძმა გივი, სრულწლოვანების მიღწევისთანავე, ციმბირში გადაასახლეს როგორც „ხალხის მტრის შვილი“.

ვაჟას და მისი და-ძმის, არჩილის და ნათელას აღზრდის ურთულესი მოვალეობა იტვირთა დეიდამ, ლუდმილა მოდებაძემ, ცნობილმა ფტიზიატრმა, ქართული ფტიზიატრიული სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა. მან და ბავშვების ბებიამ მარიამმა არა მარტო ფიზიკურად გადაარჩინეს ბავშვები, არამედ მისცეს მათ ბრწყინვალე განათლება და აღზარდეს როგორც ქართული საზოგადოების წარჩინებული წარმომადგენლები.

ვაჟა სწავლობდა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლაში, რომელიც ოქროს მედლით დაამთავრა 1948 წელს. თავდაპირველად იგი ფილოლოგიური მეცნიერებებით დაინტერესდა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სემიტოლოგიის განხრით და ბრწყინვალე მომავალსაც უქადდნენ, მაგრამ მალე ახალი გატაცება გაუჩნდა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ეს ინტერესი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ გადაწყვიტა სპეციალობა შეეცვალა და სამედიცინო განათლება მიეღო.

1956 წელს ვაჟა ოკუჯავამ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და სწავლა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. მისი მასწავლებლები იყვნენ ივანე ბერიტაშვილი და ვლადიმერ ვორონინი. ვაჟა ბრწყინვალედ ფლობდა უცხო ენებს და მჭიდროდ ურთიერთობდა მსოფლიო ფიზიოლოგიის კორიფეებთან, რომლებიც იმ პერიოდში ხშირად სტუმრობდნენ ფიზიოლოგიის ინსტიტუტს. ეს კიდევ უფრო აფართოებდა მის სამეცნიერო დიაპაზონს. ახალგაზრდა მეცნიერი არც მათ დარჩათ შეუმჩნეველი. ამ პერიოდში ის დაინტერესდა ცენტრალური ნერვული სისტემის ელექტროფიზიოლოგიური ფენომენებით, მათი მექანიზმებითა და წარმოშობის საფუძვლებით. უკვე იმ დროს მისმა პირველმა შრომებმა მიიპყრო გამოჩენილი სპეციალისტების ყურადღება და მათი მაღალი შეფასება დაიმსახურა. აკად. პ. ანოხინი წერდა: **„წარმატებით შეუთავსა რა თავის ტვინის ელექტრული სტიმულაციისა და ბიოპოტენციალთა რეგისტრაციის მეთოდები ნეიროფარმაკოლოგიური ზემოქმედების მეთოდებს, ვ. ოკუჯავა მივიდა მეტად მნიშვნელოვან და ორიგინალურ დასკვნებამდე, ეჭვგარეშეა ამ ფაქტებისა და დასკვნების დიდი სამეცნიერო ღირებულება“**.

1960 წელს ვ. ოკუჯავამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით. ბატონი ივანე მოგვიანებით ასე აფასებდა მის ნაშრომებს: **„ვ. ოკუჯავას სამეცნიერო კვლევები ეხება ნეიროფიზიოლოგიის უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაშიც მან დიდი წვლილი შეიტანა. მისმა ნაშრომებმა სპეციალისტ ნეიროფიზიოლოგთა ფართო საზოგადოების აღიარება მოიპოვა. ხაზი უნდა გაესვას ვ. ოკუჯავას კვლევების მაღალ მეთოდურ დონეს. ამისათვის საკმარისია აღინიშნოს, რომ მან პირველად ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გამოიყენა ისეთი რთული მეთოდიკა, როგორიცაა უჯრედშიდა ელექტროდების მეშვეობით ცალკეული ნეირონების ელექტრული პოტენციალების რეგისტრაცია. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ოკუჯავას ნაშრომები მეტად საინტერესოა თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიისათვის და უმაღლეს შეფასებას იმსახურებს“**.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ვაჟა ოკუჯავა იწყებს მუშაობას კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტში. აქედან იწყება მისი ხანგრძლივი თანამშრომლობა თავის მასწავლებელთან და თანამოაზრესთან აკადემიკოს პეტრე სარაჯიშვილთან. 1961 წელს მან შექმნა ექსპერიმენტული ნევროლოგიის განყოფილება და სათავეში ჩაუდგა მას. პეტრე სარაჯიშვილი წერდა: **„მან შეძლო შეექმნა განყოფილება, რომელიც თავისი შესაძლებლობებით არ ჩამოუვარდება საერთაშორისო კლასის საუკეთესო ლაბორატორიებს. აქ ჩამოდიან მეცნიერები სხვადასხვა ქვეყნიდან ერთობლივი კვლევის ჩასატარებლად და მეთოდების ასათვისებლად.“**

ყურადღებას იპყრობს მისი სამეცნიერო ინტერესების მეტად ფართო სპექტრი, სიახლის საოცარი შეგრძნება და კვლევების უზარმაზარი დიაპაზონი. ვაჟა ოკუჯავა იყო ერთ-ერთი პირველი ყოფილ საბჭოთა კავშირში, ვინც თავის ტვინის ცალკეული ელემენტარული სტრუქტურების ცხოველქმედების შესასწავლად უნატიფესი მიკროფიზიოლოგიური მეთოდები დანერგა. თავისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე იგი იკვლევდა ძილს, კოსმოსური და საავიაციო მედიცინის პრობლემებს, წამალთა თერაპიულ მონიტორინგსა და ფარმაკოკინეტიკას, ქცევის ფიზიოლოგიას.

60-იან წლებში იკვეთება მისი მთავარი სამეცნიერო ინტერესი: ეპილეფსიის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების შესწავლა. მან შეძლო მდიდარი მასალის მიღება და სრულებით ახლებურად ახსნა უჯრედული მექანიზმებისა, რომელიც ვითარდება ცალკეული ნეირონის დონეზე და განაპირობებს ეპილეფსიურ აქტივობას, აგრეთვე დაადგინა ეპილეფსიურ აქტივობაში ახალი ნეირონების ჩართვის მექანიზმი და მეორადი ეპილეფსიური კერების ბუნება და ა.შ. ვ.ოკუჯავამ შექმნა სრულიად ახალი, ორიგინალური წარმოდგენა ეპილეფსიური გულყრის შეწყვეტის ნეიროფიზიოლოგიური საფუძვლების შესახებ. 1966 წელს ვ.ოკუჯავამ ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „ეპილეფსიური აქტივობის ძირითადი ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები“. მისი შრომები უმაღლეს სამეცნიერო შეფასებას იმსახურებს. პეტრე სარაჯიშვილი წერდა: **„უნდა აღინიშნოს, რომ ვ.ოკუჯავას შრომები ავტორს წარმოაჩენს როგორც ღრმა თეორეტიკოსსა და ნატიფი ექსპერიმენტის ბრწყინვალე ოსტატს.“ ჰერბერტ ჯასპერი ასე აფასებს მის მონოგრაფიას: “ეპილეფსიური აქტივობის ძირითადი ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები“: „ეს არის შესანიშნავი ნაშრომი და მინდა მოგილოცოთ, რომ თქვენ შეძელით ზოგიერთი უკვე არსებული შრომის კრიტიკული შეფასება და შემოიტანეთ ბევრი, ჩემი აზრით უაღრესად მნიშვნელოვანი, თქვენი საკუთარი დაკვირვება. მე ვათავსებ ამ წიგნს ჩვენს ბიბლიოთეკაში, რომ ჩვენს თანამშრომლებსა და სტუდენტებს ჰქონდეთ მისი გამოყენებისა და ციტირების საშუალება.“**

მისმა სამეცნიერო მუშაობამ თავიდანვე უდიდესი აღიარება ჰპოვა. 1967 წელს, ვაჟა ოკუჯავა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი, აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს აკადემიის ნამდვილ წევრად.

ბატონი ვაჟა წარმატებით უთავსებდა ერთმანეთს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი ჭეშმარიტად ნიჭიერი პედაგოგი იყო. 1967 წლიდან სიცოცხლის ბოლო პერიოდამდე კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრაზე ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის სხვადასხვა განხრით. მისი ლექციები უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობდა. მისი ხელმძღვანელობით 31 დისერტაცია შესრულდა, აქედან 5 სადოქტორო.

ვაჟა ოკუჯავა იყო მეცნიერების ბრწყინვალე ორგანიზატორი. მისი მოღვაწეობის ეს მხარე სრულად ვლინდება გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. 1973-75 წლებში. ვ.ოკუჯავა მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორად სამეცნიერო დარგში, ხოლო 1975-80 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. თავისი მოღვაწეობის ამ პერიოდში იგი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოში სამედიცინო-ბიოლოგიური მეცნიერებებისა და ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის ძირითადი მიმართულებების განვითარებას. ანიჭებდა რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სხვადასხვა ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულებების განვითარებას ნეირობიოლოგიის პრობლემების გადასაჭრელად, მან ერთ-ერთმა პირველმა საბჭოთა კავშირში შემოიტანა „ნეირომეცნიერებების“ კონცეფცია და იყო მულტიდისციპლინური ნეირომეცნიერებების კონფერენციის ჩატარების ინიციატორი, რომელმაც შემდგომ რეგულარული ხასიათი მიიღო და ტარდებოდა ყოველწლიურად. აღნიშნულმა კონფერენციებმა ფართო აღიარება და მაღალი შეფასება ჰპოვა სამეცნიერო წრეებში. მისი ორგანიზებით თბილისში ორჯერ (1978 და 1982 წლებში) ჩატარდა ეპილეფსიის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ დარგის ლიდერები მთელი მსოფლიოდან. ამავე დროს ვაჟა ოკუჯავა განაგრძობდა აქტიურ კვლევით მუშაობას და ქმნიდა ახალ სამეცნიერო ერთეულებს.

1980 წლიდან, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა (ამ თანამდებობზე 1985 წლამდე იმუშავა), იწყება ახალი ეტაპი მის ცხოვრებაში. ამ პერიოდში სრულად ვლინდება მისი ორგანიზატორული შესაძლებლობები. აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი როლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის და პარტნიორობის გაფართოებაში. იგი დიდ ძალისხმევასა და ენერგიას უთმობდა უნივერსიტეტის სამეცნიერო დანაყოფების სრულყოფას და განვითარებას, საუნივერსიტეტო მეცნიერების პრობლემატიკის დაზუსტებას და გამსხვილებას, სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. ამავე დროს აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი მოღვაწეობა სამეცნიერო მუშაობაში ახალგაზრდა კადრების ხვედრითი წილის გაზრდისათვის. ბატონი ნოდარ ტაბიძე თავის წიგნში „პორტრეტები და ესკიზები“ წერს: **„იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი — უდიდესი პატივია და უზარმაზარი ტვირთიც. შენ გევალება ივანე ჯავახიშვილის ხაზის გაგრძელება. ყველაფერი უნდა შესწირო ალმა-მატერს - ერის გონსა და სინდისს. არ კმარა დიდი მეცნიერი ბრძანდებოდე. აუცილებელია, კარგი ორგანიზატორი და პატიოსანი მოქალაქე იყო. მაშინ გამოგყვებიან... უნივერსიტეტს ბევრი ღირსეული რექტორი ჰყავდა. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია ვაჟა ოკუჯავა“**.

ვაჟა ოკუჯავა ცხოვრების ბოლომდე ეწეოდა მეტად ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას, ხელმძღვანელობდა მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო პროექტს, აქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომებს. ხსენებულ პუბლიკაციებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია „Mechanisms of Cortical Inhibition” („ქერქული შეკავების მექანიზმები“), რომელიც 1997 წელს ნიუ-იორკში (აშშ) გამოაქვეყნა გამომცემლობამ Nova Science Publishers, inc. ეს შრომა ციტირებულია ფუნდამენტურ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებში

სიცოცხლის ბოლო პერიოდში, ორიათასიან წლებში, ვ. ოკუჯავა ქცევისა და სივრცითი მეხსიერების კვლევამ გაიტაცა. მისმა ლაბორატორიამ აქტიური მუშაობა დაიწყო ამ მიმართულებით. 2010 წელს აშშ-ში გამოიცა მონოგრაფია მისი და თეიმურაზ ნათიშვილის თანაავტორობით: „კოგნიტური ვიზუალური მეხსიერება კატებში“ (Cognitive visual memory in cats. // Nova Science Publishers, Inc, New-York), რომელსაც 2011 წელს, ვ. ოკუჯავას გარდაცვალების შემდეგ ი. ბერიტაშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

თავისი ცხოვრების მანძილზე ვაჟა ოკუჯავა იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციისა და საზოგადოების წევრი და თავმჯდომარე, რიგი ეროვნული და უცხოური სამეცნიერო ჟურნალების (Electroencephalography and Clinical Neurophysiology”, “Neurophysiology”, “Epilepsy Research” და სხვ.) სარედაქციო კოლეგიისა და სარედაქციო საბჭოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს (ბიოლოგიის სერია) უცვლელი მთავარი რედაქტორი სიცოცხლის ბოლომდე. 1980 წელს გახდა ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი და 30 წელზე მეტ ხანს ედგა მას სათავეში. ვ. ოკუჯავა არის 326 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათგან 6 მონოგრაფიაა. მისი სამეცნიერო შრომები სხვადასხვა დროს აღინიშნა ი. ბერიტაშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიით და ხორეზმის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიით.

მრავალმხრივობა და დიდი დიაპაზონი იყო ვაჟა ოკუჯავას არა მარტო პროფესიული, არამედ პიროვნული თვისებაც. ის იყო ჭეშმარიტი ერუდიტი. ერკვეოდა როგორც ხელოვნების, ასევე მხატვრული ლიტერატურის, პუბლიცისტიკის, ეკონომიკის, სპორტის ძირითად საკითხებში. ბრწყინვალედ ფლობდა ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებს. მიღებული ჰქონდა მუსიკალური განათლება და შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე. კარგად ერკვეოდა ნებისმიერი ჟანრის მუსიკაში, თუმცა, უპირატესობას კლასიკურს ანიჭებდა. მისდევდა სპორტს, კარგად თამაშობდა ჩოგბურთს, იყო საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.

ვაჟა ოკუჯავა დიდ ოჯახს ედგა სათავეში. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

ვაჟა ოკუჯავა იყო დიდი მეცნიერი, მოაზროვნე, პედაგოგი, მეცნიერების ორგანიზატორი, საზოგადო მოღვაწე, დიდი პატრიოტი და სახელოვანი მამულიშვილი. ყოველივე ზემოთქმული, იყო იმის შედეგი, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, იყო გამორჩეულად დიდი პიროვნება თავისი ბუნებით, განათლებითა და რწმენით.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოება

ნუგზარ ნადარაია

...და საქართველოს ედგას უღელი

„მე ჩემი გზა ასე გამოვიარე, მიყვარდით და მწამდით, გიერთგულეთ, როგორც შევძელი. უკეთესი სხვამ გააკეთოს. არასოდეს ვყოფილვარ შურიანი, პირიქით, მუდამ ვაკვირდები ყველას და მჯობნს. მჯობნით ვხარობ. მხოლოდ ჩემს თავს ვეკითხები — საკმარისად იმუშავე ინტელექტის ასამაღლებლად? და იქვე დავასკვნი — როგორც ჩანს, არა, რადგან გჯობნიან. თუმცა, მჯობნის მჯობნს მართლაც რა გამოლევს“...

ეს სიტყვები ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ჟურნალ „ცოტნეიდელის“ შარშან გამოსული VIII ტომის პირველი ნაწილის ბოლოთქმიდანაა (ეს ტომი ეძღვნება ამავე აკადემიის პრეზიდენტის ნუგზარ ნადარაიას დაბადებიდან 70 და სამეცნიერო, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილეს, რაც ზეგ, 27 თებერვალს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დიდ დარბაზში აღინიშნება)..

70 წელი ის გადმოსახედია, საიდანაც თვალნათლივ ჩანს ამ დროის მანძილზე გაკეთებულ-მოგვარებულის ავ-კარგი. ბატონ ნუგზარ ნადარაიას შემთხვევაში ამ გადმოსახედიდან ერთი რამეც ჩანს ხელშესახებად: **ეს ადამიანი თითქოს იმისთვისღა გაჩნდა, რომ იყოს თავისი ქვეყნის ერთგული ჯარისკაცი და, ერთი პოეტური სტრიქონის გადაფრაზირებით თუ ვიტყვით, საქართველოს ედგას უღელი, რომელიც ბოლომდე ისე უღალატოდ ზიდოს, როგორც დღემდე უზიდავს**.

ეს ნათლად ჩანს ამ თარიღთან დაკავშირებით რედაქციაში შემოსული მასალებითაც, რომელთა ერთ ნაწილს დღეს გთავაზობთ.

ღმერთს ებარებოდე...

ეკლესიური კაცია ნუგზარ ნადარაია, ჭეშმარიტად ღვთისმმოსავი მართლმადიდებელი ქრისტიანი, თავის მიერვე დაარსებული საზოგადოებრივი მოძრაობის **„ჭყონდიდელ-ცოტნეიდელის“ სლოგანისა არ იყოს, „აღმსარებელი მცნებისა უფლისა და დამდებელი სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასისათვის“**.

მას ქვეყნისა და ქართველი ხალხის უდიდეს ბედნიერებად და ღვთის კურთხევად მიაჩნია ის, რომ ჩვენს ქვეყანას ეს ბოლო 37 წელია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახით ჰყავს სწორედ ისეთი სულიერი მამა, როგორიც მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია II ბრძანდება.

„დიდებული სვეტიცხოვლის ნათელ-მირონის ღვთიური მადლითა და კურთხევით ქართველი ერის ავტოპორტრეტად ქცეული სამების საპატრიარქო ტაძრამდე თქვენს მიერ რწმენით განვლილი გზა ჭეშმარიტი აღმაშენებლის გზაა. ამიტომაცაა, რომ თქვენი უდიდესი და გამორჩეული ღვაწლით, საქართველოს ისტორიულ მატიანეში, სიცოცხლეშივე შებრძანდით დამსახურებული ეპითეტით — ილია II „აღმშენებელი“...

ეს ამონარიდია იმ წერილიდან, რითაც ნუგზარ ნადარაიას ინიციატივით ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიამ და კიდევ ცხრა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ახლახან მიმართეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და ჩვენი დედაეკლესიის წმინდა სინოდს, რომ მისი უწმინდესობა დათანხმდეს, ხოლო წმინდა სინოდმა იგი თავისი გადაწყვეტილებით შერაცხოს წმინდა ილია II „აღმშენებლად“.

როგორც ჩვენი გაზეთი ამის გამო უკვე წერდა, „ჯერ უცნობია, პატრიარქი და წმინდა სინოდი დათანხმდებიან თუ არა საინიციატივო ჯგუფის წევრთა ამ წინადადებას, მაგრამ... პატრიარქი რომ კარგა ხანია ერის რჩეული და სულიერი რწმენის ციხე-ტაძრების აღმშენებელია, ცხადზე უცხადესია“...

თავად ნუგზარ ნადარაიას — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შვილობილად შერაცხილს, რომელიც მაჯიდან არასოდეს არ იცილებს მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის მიერ ნაჩუქარ სამაჯურს, რომელზეც ამოტვიფრულია სიტყვები — „ღმერთს ებარებოდე“ ღრმად სწამს, რომ ამის გაკეთება აუცილებელია, „რათა გაიხაროს ყოველმა ქართველმა და დავუდასტუროთ მსოფლიოს, რომ ქართველებმაც შევძელით ღირებულისა და ღირსეულისადმი სიცოცხლეშივე დამსახურებული პატივგების გამოხატვა“.

„ღვთის მადლითა და შეწევნით“...

„ღვთის მადლითა და შეწევნით ვიმედოვნებ, პატივცემულო მკითხველო, — ამბობს ბატონი ნუგზარი „ცოტნეიდელის“ მერვე ტომის პირველი ნაწილის ბოლოთქმაში, — რომ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს 2020 წელს ჩემი დაბადებიდან 75 წლის იუბილეს აღსანიშნავად, უკვე ავტობიოგრაფიული წიგნის მეორე ნაწილის გამოცემით, რომელშიც ვრცლად, მიზეზ-შედეგის კატეგორიების გულმართალი, ობიექტური გაანალიზებით მოგითხრობთ ჩემს მრავალწლიან მოღვაწეობაზე თბილისსა და აჭარაში.

ვინ იცის, იქნებ გასამდეს ყოველივე და კვლავ შევხვდეთ 2025 წელსაც ჩემი დაბადებიდან 80 წლისთავის საიუბილეოდ, ასევე ავტობიოგრაფიული წიგნის მესამე და დასკვნითი გამოცემით“.

როგორც იტყვიან, ღმერთმაც გისმინოთ და რეალობად აქციოს თქვენი ეს სურვილ-ჩანაფიქრი, ბატონო ნუგზარ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაკი, თავის მრავალათასიან მკითხველთან ერთად და მათი სახელით გილოცავთ დაბადებიდან 70 წლისთავს. იხარეთ, იბედნიერეთ და იდღეგრძელეთ, მრავალჟამიერ! ჩვენო უღალატო მეგობარო და ცოტნეიდელთა ლიდერო.

რუსლან რუსია

უდავოდ მისაბაძი პიროვნება

ARIAN ადამიანები, სამშობლოს უკიდეგანო სიყვარულით ანთებული მამულიშვილები, რომლებისთვისაც რწმენა, სამშობლო, ერი, ეროვნული კულტურა მსახურების უსასრულო, ულევი ენერგიის შემმატებელი წყაროა.

ასეთებს არცთუ ისე ხშირად შეხვდები ადამიანი და მინდა, გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა დღევანდელი იუბილარისადმი.

ნუგზარ ნადარაია ღირსებისა და მოვალეობის უღალატოდ მტვირთველ-მზიდველი რაინდია, ვისაც პირადულზე მეტად ერის წყლული მიაჩნია წყლულად, ესოდენ ემოციურად რომ ეუფლება მის ბობოქარ სულსა და გულს და ფარ-ხმალს არასოდეს არ აყრევინებს. სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში ასეთების დეფიციტია.

პატრიარქის დალოცვა

კეთილშობილი, უაღრესად პატივსაცემი დედ-მამის ტრადიციულ ოჯახურ გარემოში აღზრდილი და შემდგომ ასეთივე ღირსეული ოჯახის მამამთავარი ბატონი ნუგზარი, ჩვენი ქვეყანა რომ ქვეყანას ჰგავდეს, დღეს ქვეყნისა და ერის აღმშენებლობის მწვერვალზე უნდა იყოს და არა მხოლოდ ამჟამინდელივით შეზღუდული შესაძლებლობის ვიწრო სივრცეში.

ბატონი ნუგზარის ბიოგრაფია თვით საქართველოს ბიოგრაფიას გვაგონებს — თუ ჩვენმა სამშობლომ სოციალიზმის პერიოდში მიაღწია ყველაზე დიდ წარმატებებს მთელ საბჭოთა კავშირში, უმაღლეს დონეზე ავიდა განათლება, მეცნიერება, ხელოვნება, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ეს, უწინარესად ისეთი ფუტკარივით მშრომელი რაიონული, საქალაქო, საოლქო რგოლის ხელმძღვანელთა დამსახურებაც იყო, როგორიც გახლდათ სწორედ ნუგზარ ნადარაია. და უაღრესად სასიამოვნოა, რომ საქართველოს ასეთები სხვებიც ამშვენებენ.

ასევე, დამოუკიდებლობის ძნელბედობის წლებში ბატონმა ნუგზარმა ახალი სული ჩაბერა ქალაქ ფოთს და იქაურ აღდგენილ ისტორიულ სამეგრელოს მოედანზე კოლხური სულიერების მედროშის, ეროვნულ-ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის, წმინდა ცოტნე აღმსარებლად შერაცხულის ძეგლი აღმართა. მან ამით ლაკონური პასუხი გასცა ქალაქ ფაზისის წარმომავლობასა და კუთვნილებას.

ბატონო ნუგზარ.

სიტყვა „სამაგალითო“ მიგვანიშნებს, რომ ადამიანებმა მისგან მაგალითები უნდა აიღონ, მიჰბაძონ მას, მაგრამ რომ მიჰბაძონ, ამის უნარიც უნდა ჰქონდეთ.

თქვენ უდავოდ მისაბაძი პიროვნება ბრძანდებით და, ნეტარ ინებოს გამჩენმა, თქვენებრ უნარიანი შვილები არ მოაკლოს ჩვენს სამშობლოს, რომელიც, თუ იგი თქვენისთანებზე აიღებს სწორებას, შეძლებს გათელილი პატივმოყვარეობის დაბრუნებას.

საზოგადოება „სამართლიანი საქართველოს“ შემოქმედებითი კოლექტივი, ასევე მოსკოვის ქართული შესაბამისი სამეცნიერო საზოგადოება დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოგესალმებათ თქვენი დაბადების 70-ე წლის იუბილეზე და გისურვებთ კავკასიურ დღეგრძელობას, შემოქმედებითს წარმატებებს და თქვენი სანუკვარი სამშობლოს გაბრწყინებას.

კონკრეტულად თქვენი და, ზოგადად, ჩვენი — სრულიად საქართველოს გამარჯვებისა იყოს!

პატივისცემით,
ნოდარ ერიაშვილი,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, მოსკოვი;

სერგო ბარამიძე,
„ფაზისის“ აკადემიის წევრი, პოეტი-აკადემიკოსი, თბილისი.

ღირსეულად და უღალატოდ განვლილი წლები

იძნებ არც ვარგოდეს საიუბილეო წერილის ამით დაწყება, მაგრამ მაინც უნდა გავიმეორო გაცვეთილი ჭეშმარიტება: სიკვდილამდე ბეწვის ხიდზე ბევრჯერ უნდა გაიარო ადამიანმა. ოღონდ იქამდე ღირსეულად უნდა განვლო წუთისოფელი...

შემიძლია, ხატზე დავიფიცო, რომ 1975 წლის 13 აგვისტოდან 1986 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში ხობელებმა, განსაკუთრებით კი იმ ხალხმა, ვისაც ნუგზარ ნადარაიას გუნდის წევრობის პატივი ჰქონდა, მათმა უმრავლესობამ მაინც, ღირსეულად და უღალატოდ განვლეს მუხლჩაუხრელი, წარმატებული შრომის გზა-სავალი. არადა, იმ გუნდში ყველანი ახალგაზრდები ვიყავით, თავად ლიდერი — 29 წლისა, მე — 26-ის და ა.შ...

იმ პერიოდში („ზასტოის“ ხანაში) რეალური წინსვლისთვის რომ მიგეღწია, პირველი პირი ცოტა მეამბოხე უნდა ყოფილიყავი, ცოტა დამოუკიდებელი და თავზეხელაღებულიც, ცოტაზე მეტად გამბედავი, ცოტა მიუღებელიც („ზემდგომი ორგანოებისთვის“), მაგრამ უნდა ყოფილიყავი ძალიან პატიოსანიც ყველა გაგებით, ძალიან პატრიოტი, ძალიან ქართველი, მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი და შენი ქვეყნისა და შენი სამშობლოსთვის, შენი „ოდაბადესათვის“ თავის დამდებიც.

როდესაც ჩვენ ფიც-ვერცხლით განვამტკიცეთ ჩვენი თანამებრძოლობა, ყველა ეს თვისება (სხვადასხვას — მეტ-ნაკლებად) გვქონდა და მე ბედნიერი ვარ, რომ ვიყავი იმ გუნდში, ვიბრძოდი იმ გუნდთან ერთად და გავიმარჯვეთ იმ გუნდთან ერთად... რომელსაც ბატონი ნუგზარ ნადარაია ლიდერობდა...

... ცოტა უხერხულ შედარებად შეიძლება ჩამითვალონ,მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენს შემთხვევაში იგი ზედგამოჭრილია: დიდი საფეხბურთო გუნდები ერთი უდიდესი ფეხბურთელის ირგვლივ ყალიბდებიან, ასეთებია „ბარსელონა“ და მესი, „რეალი“ და რონალდო, პელე და ბრაზილიის ნაკრები, მარადონა და არგენტინის ნაკრები... ასე იყო ჩვენს სინამდვილეშიც — ნუგზარ ნადარაია და ხობელები.

სამწუხაროდ ხობში, 1986 წლის შემდეგ, მსგავსი გუნდი ვერ ჩამოყალიბდა...

... სრულიად ახალგაზრდა კაცი, რაიონის ახალდანიშნული ლიდერი, გზადაგზა ჰკრავდა თანამოაზრეთანამებრძოლთა გუნდს. მათ შორის მოვხვდი მეც, მაშინ ხობის რაიონული გაზეთის უპარტიო რიგითი ლიტმუშაკი. რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ გადაწყდა ჩემი დანიშვნა (ბატონ ნუგზარს მერე ჩემთვის არ დაუმალავს, რომ მის ამ გადაწყვეტილებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყოლია. ერთს ისიც კი უთქვამს, წურწუმიაზე უკეთ მე ვიმღერებდიო. — წურწუმია იქ სასიმღეროდ კი არა, საქმის საკეთებლად მიდის, ხოლო თუ სიმღერა გახდა საჭირო, ერთად ვიმღერებთო, — უპასუხნია ბატონ ნუგზარს)...

შეთანხმებისამებრ, ათი დღის მერე რაიონის თავკაცს კულტურის განყოფილების გრძელვადიანი საამოქმედო გეგმა წარვუდგინე.

და დაიწყო საოცარი სასიკეთო გარდაქმნა-ფერისცვალება რაიონის მშრომელთა ყოველდღიურ ყოფასა თუ საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. დაწესდა საერო-სახალხო დღესასწაული — მოსავლის ზეიმი, შემდგომ, რაიონში გაიხსნა დიდი სამამულო ომში დაღუპული ხობელი ვაჟკაცის — შინმოუსვლელის სახლ-მუზეუმი სიმწვანეში ჩაკირულ-ჩაქარგული 5000-ადგილიანი ამფითეატრონით და მთავარი — დაწესდა საერო-სახალხო დღესასწაული — **ცოტნეობა**.

1976 წელია, „ამერიკის ხმის“ მოსმენისთვისაც კი პარტიიდან გაგრიცხავენ და... ამ დროს ცოტნე დადიანის გმირობის პატივგებისთვის წესდება ცოტნეობის დღესასწაული...

ღვაწლი მამულიშვილისა

გადაწყდა, სასწრაფოდ სპილენძით გადაიხუროს ხობის მონასტერი, არადა, იქვე კომკავშირის აქტივისტები მორიგეობენ, საეკლესიო დღესასწაულებზე პარტიულ-სამეურნეო აქტივის წევრს მონასტრისკენ ფეხი რომ არ „წაუცდეს“...

მთელი რაიონი გადაქცეული იყო სამშენებლო და მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე გამოცდილების დანერგვის ლაბორატორიად და პოლიგონად. შენდება თეატრის ულამაზესი შენობა, მოძრავი სცენით, ორი დარბაზით, ფოიეები და სვეტები უმაღლესი ხარისხის მარმარილოთია მოპირკეთებული, ზურაბ წერეთლის პანოებით — „არგონავტების ნაკვალევზე“ — დამშვენებული. თეატრის წინ იდგმება „სიცოცხლის ხე“, შენდება კინოთეატრ „ცოტნეიდელის“ ულამაზესი შენობა, 180 საწოლზე გათვლილი რაიონული საავადმყოფო-კომპლექსი, ასევე რაიონული ბიბლიოთეკა, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით. ქალაქის ცენტრში აიგო რესტორანი „მედეა“ მუსიკალური ვარიეტეთი, ასევე რესტორანი „წარსულის ღიმილი“.

შვილიშვილი - ნინო ნადარაია

სოფელ ხორგაში აშენდა ალიო მირცხულავას სახლ-მუზეუმი, ხამისკურში — პიერ კობახიძის სახლ-მუზეუმი თეატრონით, კოლხეთის ათვისების ისტორიის მუზეუმი, ხობში ჩამოდის მსოფლიოში სახელგანთქმული რუსთაველის თეატრი, ხობელები პრემიერებზე ეცნობიან „რიჩარდ მესამეს“, „კავკასიურ ცარცის წრეს“, მარჯანიშვილის თეატრის „თეთრ ბაირაღებს“, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის „დაისს“, „ჩრდილოეთის პატარძალს“. შენდება აღმშენებლობის გვირგვინი — ხობის კულტურულ-სპორტული კომპლექსი: 50-მეტრიანი ოლიმპიური სტანდარტების შესაბამისი საცურაო კომპლექსი ავტონომიური გათბობით, წყლის გამწმენდი ნაგებობებით, სახტომი კოშკებით, გასახდელებითა და საშხაპეებით, უმაღლესი დონის სასტუმროს მინაშენით, იქვე შენდება უნიკალური სპორტული დარბაზი „მართვე“, — საფეხბურთო სტადიონი...

თითქმის ყველაფერი ინიციატივით, აუთვისებელი ფონდების ამოქმედებით შენდება. მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს... თავიდან ბევრი ნიჰილიზმით უყურებს მეოცნებე ხობელების ამ უტოპიურ იდეას (საქართველოში ნამდვილად არსად არაა ნ.ნადარაიას „შვილობილის“ მსგავსიც კი), პირველი მდივანი და მისი გუნდის წევრები ღამეებს თითქმის უძილოდ ვატარებთ, ჩვენც ფიზიკურად ვშრომობთ „თავისუფალ“ დროს, შური არც კი გვახსოვს, არადა, შემდეგ ბევრი შეშინებული „პასუხისმგებელი“ მუშაკი გამოჩნდა ცენტრალური კომიტეტიდან შეფუცხუნებული (— „ეს მეოცნებე ხობელები მართლა რომ გაფრინდნენ?!!)...

ეს საოცრება — საცურაო კომპლექსი — თითქმის მზადაა და მის სანახავად ჩამოდის საქართველოს ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე თანმხლები პირებითურთ.

ისინი ათვალიერებენ ამ ყველაფერს გაოცებულნი, ცოტა შეცბუნებულებიც (ბატონ ედუარდს, სამწუხაროდ, არ უყვარდა მსგავსი დამოუკიდებელი, ინიციატივიანი მუშაკები). ბატონი

ნუგზარ ნადარაია, მანანა ქორიძე, ნათია გიგაური, ოთარ ნადარაია

ნუგზარი მათ დელიკატურად უხსნის, როგორ შენდებოდა ეს ყველაფერი, ბატონი ედუარდის ყოველდღიური ზრუნვითა და რუდუნებით რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიხდა ხობელებს ამ „იდეის“ ხორცშესასხმელად. ჭკვიანი შევარდნაძეც ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებს და თავისი ცნობილი ღიმილით, სახალხოდ მიმართავს რაიკომის მდივანს —„უკვე დაგიმთავრებიათ მშენებლობა და ახლა ... ხომ არ დავანგრევთ და დაგსჯითო!..“

პარალელურად მთელს რაიონში არნახული შრომითი ენთუზიაზმია, გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფო გეგმები, შენდება მეცხოველეობის ახალი კომპლექსები, გზები, სკოლები, საბავშვო ბაღები, ბიბლიოთეკები, სასოფლო კლუბები, საცხოვრებელი სახლები, ადმინისტრაციული შენობები. იქმნება რაიონის ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „კოლხეთი“, რომელიც კონცერტებს მართავს არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთელი კავშირის მასშტაბით...

ბატონი ნუგზარი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორე აღმაშენებლის ლოცვა-კურთხევით თანამოაზრეებთან ერთად ინიციატორ-თაოსანია ქვეყნის, ერისა და დედა-ეკლესიის წინაშე დამსახურებისთვის ცოტნე დადიანისა და მღვდელმთავარ გიორგი ჭყონდიდელის (გ.ბედია) წმინდანებად კურთხევისა, ფოთში, სამეგრელოს აღდგენილ ისტორიულ მოედანზე, საქართველოს ეროვნულ-ზნეობრივი გმირის ცოტნე აღმსარებლის ძეგლის აღმართვისა და საქართველოში საეკლესიო-სახალხო დღესასწაულების: ცოტნეობისა და ჭყონდიდელობის დამკვიდრებისა...

სახელოვან იუბილეს გილოცავთ, ბატონო ნუგზარ, წარსულით ამაღლებული, დღევანდელობით ჩაფიქრებული და სამომავლოდ მაინც ოპტიმიზმით აღსავსე და დაიმედებული ახალი აღმშენებელთა გუნდის შექმნის მომლოდინე, აღმშენებლობისა, რისთვისაც მართლაც ღირდა ცხოვრება, თავდადებული შრომა და თავგანწირვაც კი...

პატივისცემით,
ედიშერ წურწუმია,
1975-1986 წლებში ნუგზარ ნადარაიას ხობის აღმშენებელი „დიდი გუნდის“ ერთგული წევრი.

საქართველოს მატიანე

ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II,

აღმშენებელსა და გულანთებულ შვილობილ ცოტნეიდელებს...

1. აყვავებულა ქვეყანა,
ცაში ჭიკჭიკებს ფრთოსანი,
იხარე, ჩემო სამშობლოვ,
სიტყვას იძახის მგოსანი.
2. ღმერთო, ნეტავი ამ ლექსის
რითმები არსად გამექცეს,
თუ რამე გულით არა ვთქვა,
თავზე ოჯახი დამექცეს.
3. ნეტავი, ჩემო სიტყვაო,
ქართველს დასდევდე ლანდივით,
ისედამც დამშვენდებოდე,
სულში ჩაგაწნა ვარდივით.
4. იმღერეთ, ჩემო ბწკარებო,
ღვინო დამისხით ლომფერი,
იქნება ისე ჩამავთვრე
გული გამისკდეს ოხერი.
5. ცრემლი მიმძიმებს წამწამებს,
როცა გავხედავ ანანურს,
რა შეედრება ცისკარზე
კელაპტრიშვილის სალამურს.
6. რა სუფრა გაიშლებოდა,
შენ არ დაგეტკბო ოხერო,
სადა ხარ, ქართველის ბულბულო,
გონაშვილების ბოკვერო?!
7. დიდება, ვინაც პირველად,
მაღალი ღმერთი ახსენა,
ვინც ქრისტიანად განათლა,
ჩემი გოგლა და არსენა.
8. თვით ლომებს ერკინებოდა,
ბერმუხა კულა-გლდანელი,
ღმერთმა აცხონოს, ბიჭებო,
ჩვენი ტერენტი გრანელი.
9. კაცი ყოფილა, ვენაცვლე,
საუფლო გზა გაიკვალა,
რომ მარგარიტას აჩუქა
მთელი ცხოვრება ნიკალამ.
10. ღვინო დამისხით, ლომებო,
გადააწოდეთ ჭიქა შვილს,
ერთი დამწვრისა ვუმღეროთ -
ტატოს, ბესიკს და გრიშაშვილს.
11. ღვინით მოვურწყათ საფლავი,
გულზედ შევუხსნათ საკინძე,
ილიას, ვაჟას, აკაკის
და გალაკტიონ ტაბიძეს.
12. შენ შემოგევლე, სიცოცხლევ,
შენმა ნათელმა განგვბანოს,
გოგებაშვილის ენავ და
ჩემო ქართულო ანბანო!
13. შენ შემაყვარე სამყარო,
ძველი აღთქმა და მითები,
ზოსიმეს ქადაგება და
ო, საბას მარგალიტები.
14. ერთად ვიმღეროთ, მგოსნებო,
ლექსები შევქმნათ საჩინო,
ეს მადლიანი ქვეყანა
როგორმე გადავარჩინოთ.
15. დიდება უფალს, ლოცვები
დილას კვლავ გავიმეორე,
რომ მოგვივლინა ღვთის კაცი —
წმინდა ილია მეორე!
16. მისი ლოცვით და ვედრებით
მშვიდობის დილა თენდება,
დედა-ღვთისმშობლის სამოთხე
არასდროს გადაშენდება.
17. გამთლიანდება ქვეყანა,
მთვარე დაჰყურებს ალავერდს,
ნიკოფსიიდან - დარუბანდს
მალე გადავალთ ალავერდს.
18. დავლოცავ, ოქროს აკვანი
ვინც გულზედ გადამარწია,
ვინც კლდეში ააჩუქურთმა
უფლისციხე და ვარძია.
19. ნეტავი, ქართველის საგანძურს
შვილივით ვინ ჩაიშვილებს,
ერის მადლობა ექვთიმეს,
მის მოდგმა თაყვანშვილებს!
20. ამალოკინა ნეტავი,
პაპის წვერ-ულვაშ-შუბლია,
ჰაი, დედასა, მათ ანდერძს
უკვალოდ არ ჩაუვლია.
21. ხისკავიანო გუთანო,
შრომის დრო დადგა და ხანი,
სისხლით მორწყული ყამირი
ზედ გულზედ გადამახანი.
22. მომნატრებია ცრემლიანს
ხანდახან პაპის სილაქი,
ძველთ ნამუხლარზედ ვახაროთ
ჩვენი ჯიში და ჯილაგი.
23. კევრით გალეწეს ბალღები,
ჯერ ხელშიც არ აგვეყვანა,
მაინც ლომივით ღრიალებს
ჩვენი ლამაზი ქვეყანა.
24. ალაზანივით ოდესღაც
ჩამოგვივლია ჩვენც მდორედ,
ამ მიწას გამოუზრდია
ცოტნე და ბერი თევდორე.
25. ალბათ, იმიტომ გაჰკივის
ყოველ ცისკარზე მამალი,
რომ ტრფობას დაუფერფლია
დიდი შოთა და თამარი!
26. რა მშვენებაა, უფალო,
ნიკორწმინდას და ზედაზენს,
რომელ ტაძარში დავანთოთ,
შვილო, სანთელი მე და შენ.
27. ქართული მირონისათვის
დღესაც ცრემლებით ტირიან,
დიდი პატივი მივაგოთ
ფარნავაზს, ნინოს, მირიანს.
28. გიზგიზებს ძველი ბუხარი,
მეკვლე მოგვადგა მურაბით,
ვაიმე, სურამის ციხევ,
ცრემლი ჩამოგდის ზურაბის.
29. რას გვამცნობს ჟამთაღმწერელი
კრწანის, მარაბდას, მარტყოფსა,
სისხლის ტბორები დამდგარა
გადაუვლია ღვარცოფსა.
30. ჩვენს მტრებს და ამაოხრებლებს
ერთად შეჰყრიათ ბნედაო,
რა სინანულით დაჰყურებთ
ძველ ნარიყალას, დედაო.
31. რა ცოდო-მადლი ტრიალებს
ღმერთო, ადამის ხანიდან,
გურამიშვილი ლეკებმა
მოგვტაცეს ლამისყანიდან.
32. კაეშანმა და სატანამ
ლამის ერთმანეთს აკოცეს,
ვაიმე, დავით გარეჯში
წმინდა ბერები ჩახოცეს!
33. წმინდა გიორგში ვილოცებ,
სანთელს დავუნთებ ხატსაო,
თელავში მუხლზედ ვემთხვევი
მეფე ერეკლეს ხმალსაო.
34. თავდადებულნო გმირებო,
თქვე მტრისა სისხლის მსმელებო,
ლაშარის ჯვარი გფარავდეთ,
ვაჟკაცნო არაგველებო!
35. რა არის მასზედ ძვირფასი,
ალალ გულით რომ დალოცავ,
ბებერ ზარებს რომ ჩამოჰკრავ,
დიდ რუსთაველის სალოცავს.
36. გენაცვლე პაპის ვენახო,
ხომ ხედავ, ვეღარ გეშვები,
შემოაქსოვე სამშობლოს
ეგ შენი ჯაჭვის ფესვები.
37. რომ ერთხელ ზეციურამდე,
შენი სურნელი ავარდეს,
მტერიც ჩამოთვრეს ოხერი,
ხმალი ხელიდან გავარდეს.
38. ღამეს კივილით აყრუებს,
კვლავ შფოთავს გარდასულიო,
უჯარმის ციხე-ნანგრევში
ვახტანგ გორგასლის სულიო.
39. გული სიცოცხლით მევსება,
ბაგრატ-გელათის მხსენებელს,
დიდება საქართველოს და
დიდება აღმაშენებელს!
40. ვაიმე, დედის ცრემლებო,
ცაში არწივთა კივილო,
ლომგულა სააკაძის და
ო, ქეთევანის ტკივილო.
41. ჩამოვუქროლებ ალავერდს,
მივეგებები მაყრიონს,
ალუდა ქეთელაურო,
დაგელოდები ბახტრიონს.
42. გული გამკაწრეს ოხერი,
მთის არწივმა და ძერამა,
დამღალა ბაგრატოვანთა
თვალცრემლიანმა მზერამა.
43. დიდება ქართველთ მეფეებს,
ვერა დაგვაკლო მტრობამა,
სამშობლო გადაარჩინა
ფარნავაზ, ქუჯის ძმობამა...
44. დიდება საქრისტიანოს,
გმირებს, ღვთის ცრემლით გოდებულს,
დიდება სარწმუნოებას,
ანდრია პირველწოდებულს.
45. ხმალი ავლესოთ არაგვზე,
შე, გულკლდიანო ფხოველო,
შენ დაიფარე სამშობლო,
ჯვარო და სვეტიცხოველო! -
46. ვაიმე, დედაღვთისმშობელს
ცრემლით ევსება თვალები,
გფარავდეს წმინდა სამება!...
და წმინდა სალოცავები.
47. დაგლოცავ ჩემო ქვეყანავ,
უწინამც მე მავმკვდარიყავ
ივრისპირელი მგოსანი,
შეგეწირები ტარიგად...
48. ამ ლექსის მადლი გამიწყრეს,
ჭინკა დამაჯდა მხარზედა,
მზევარსკვლავედი მეძახის,
ჩვენთან ამოდის ცაზედა.
49. ავალ და წვიმად წამოვალ
მტრის გულის დასამარხადა,
მინდორს მოვაბნევ ყაყაჩოს,
ქართველის ბაღ-ვენახს დავხატავ.
50. ისე დაგივსებთ ქვევრ-მარანს,
აკივლდეთ სადევგმიროთი.
მგონია ბრძოლით დაღლილნი,
ტანს იზილავდეთ ღვინოთი.
51. იქუხე მატიანურო,
მადლი მათ კარგად მხსენებელს,
დიდება საქართველოს და
მომავალ აღმაშენებელს!

დავით ტიგინაშვილი
(ივრისპირელი)
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის
პოეტი-აკადემიკოსი. 2012-2013 წ.წ.

ჭუჭყიან ფულზე გაცვლილი სამშობლო?!

ანუ ისევ ხოკოს კარიერის შესახებ

წერილი მეხუთე

2014 წლის 11 ივნისს გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკასა“** და 13 ივნისს გაზეთ **„ლიტერატურულ საქართველოში“** გამოქვეყნდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის **დავით ჭიჭინაძის,** ქ.ჯვარის ყოფილი გამგებლის **სოსო ენგურელის** და ენგურჰესის მშენებლობის გაზეთ ,,ენგურის ჩირაღდნის“ ყოფილი რედაქტორის, მწერალ **მურად ჭანტურიას** წერილი **„საშინელ ტრაგედიას ნუ დავატრიალებინებთ! (მიმართვა საქართველოს მოსახლეობას, პარლამენტს, მთავრობას)“**.

წერილის ავტორები, მსოფლიოში და საქართველოში მოხშირებული კატასტროფების ფონზე, აცნობებდნენ საქართველოს მთავრობას და ხალხს, რომ სათანადო სპეციალისტ-მეცნიერთა კომპლექსური კვლევის გარეშე გიგანტური წყალსაცავის მარცხენა (ყველაზე სუსტ!) მონაკვეთზე კარიერის გახსნამ შეიძლება ფერდის წიაღში გაუთვალისწინებელი მოვლენები გამოიწვიოს, რასაც შედეგად წყლის უზარმაზარი (1 მილიარდ 100 მილიონი კბმ!) მასის მაგანის ხეობაში გადინება მოჰყვეს და კოლხეთის დაბლობზე საშინელი ტრაგედია დაატრიალოსო.

მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილების, ტერიტორიის მეცნიერულად შესწავლისა და კომპეტენტურ სპეციალისტთა მიერ სათანადო დასკვნის დადებამდე ყოველგვარი მოპოვებითი სამუშაოების შეჩერების მიზნით ენგურის ხეობის მოსახლეობისგან შეიქმნა **საინიციატივო ჯგუფი**.

საინიციატივო ჯგუფმა შესაბამისი წერილები გაუგზავნა **საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს** (წერილი პრემიერ-მინისტრის სახელზე გავრცელდა „ფეისბუქითაც“ და მას უამრავმა ადამიანმა „მოაწერა“ ხელი).

ასევე, წერილები დაეგზავნათ: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ **დავით უსუფაშვილს,** საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ **გიორგი ცაგარეიშვილს,** საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონ **ეკა ბესელიას,** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მაშინდელ მინისტრს ქალბატონ **ხათუნა გოგალაძეს,** სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს ბატონ **ლევან შონიას,** საქართველოს სახალხო დამცველს ბატონ **უჩა ნანუაშვილს**.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წერილების ელექტრონული ასლები (გაზეთში გამოქვეყნებული იყო თხოვნა, რომ ,,საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია ჩართულიყო საკითხის მეცნიერულად შესწავლაში) სათანადო წერილთან ერთად ელექტრონული ფოსტით გადაეგზავნა „საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის“ პრეზიდენტს **ბატონ გიორგი კვესიტაძეს,** აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანს **ბატონ ერეკლე გამყრელიძეს,** ასევე — **აკადემიის კანცელარიას**.

საინიციატივო ჯგუფი ითხოვდა ძირითადად ორ საკითხს: **„1) ავტორიტეტული სპეციალისტებისაგან (ჰიდროლოგები, ჰიდროტექნიკოსები, გეოფიზიკოსები, კარსტოლოგები, გეოლოგები, ეკოლოგები, ბუნების დამცველები...) შემდგარმა კომისიამ შეისწავლოს საკითხი კარიერის ური კვლევა, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს წერილში დასმულ საკითხებს“.**

2) „აქვე უნდა ითქვას, რომ **ვიზუალური დაკვირვება,** როგორი სიხშირითაც არ უნდა განხორციელდეს ის, **ვერ შეცვლის, არ წარმოადგენს დეტალური კომპლექსური კვლევის ალტერნატივას, რომლის ჩატარების მიზანშეწონილობას კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს“.**

საქმე ისაა, რომ უფრო ადრე საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე სააგენტოს სპეციალისტებმა (სამწუხაროდ, მხოლოდ გეოლოგებმა!) ჩაატარეს აღნიშნული ტერიტორიის **ვიზუალური დაკვირვება** და მათაც უამრავი დარღვევა აღმოაჩინეს...

* * *

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ დღევანდელი უფროსი **ვლადიმერ ლაზარიშვილი** ენგურის ხეობის საინიციატივო ჯგუფის

წევრებს მხარის გუბერნატორისადმი მიწერილ წერილში პრაქტიკულად ყველაფერში ეთანხმება. უფრო მეტიც, ამ წერილიდან ირკვევა ისიც, რომ **შპს „ხიბლისადმი“** (ეს საწარმო ახდენს მოპოვებით სამუშაოებს კარიერზე) **ლიცენზიის გაცემის დროს — 2007 წელს,** არც შემდეგ (რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს ეს!) ენგურჰესის წყალსაცავის მარცხენა ფერდზე თაბაშირის კარიერის გახსნის მოსალოდნელი შედეგების შესახებ რამე მეცნიერული დასკვნა „გარემოს ეროვნულ სააგენტოს“ ხელთ არ ჰქონია!

აბა, რის საფუძველზე გასცეს ლიცენზია, გაუგებარია (?!).

ამასთან, სააგენტოს უფროსი სიტყვასიტყვით წერს: **„ამჟამად, გარემოს ეროვნული სააგენტო „ხოკოს“ მეწყერულ უბანზე აწარმოებს ყოველწლიურ მონიტორინგულ დაკვირვებებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ვიზუალური დაკვირვება, როდესაც არ აქვს ამ უბნის დეტალური კვლევის შედეგები — გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, ტოპო-გეოდეზიური, ჰიდროგეოლოგიური და გეოფიზიკური მიმართულებით და ამ მონაცემებზე დაყრდნობით დამუშავებული ფერდობის მდგრადობის ფიზიკური მოდელირება, შეუძლებელია მეწყრის საშიშროების რისკებზე დაზუსტებული დასკვნის გამოტანა. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდში კლიმატის გლობალური ცვლილებისა და მიწისძვრების გააქტიურების საერთო ფონზე, რომელიც აღინიშნება კავკასიის რეგიონში, გეოდინამიკური სიტუაცია იცვლება და ამ სახის კვლევების აუცილებლობა გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს.“**

* * *

ენგურის ხეობის მცხოვრებთა საინიციატივო ჯგუფის წერილებს გამოეხმაურა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რომელმაც სპეციალური სხდომა მიუძღვნა ამ საკითხს (გაზ. „საქ. რესპ.“, 2014წ., 13 სექტემბერი).

მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ: **„პრობლემის შესასწავლად აუცილებელია, ჩატარდეს კომპლექსური საინჟინრო კვლევები (გეოლოგიური, გეოფიზიკური, გეოდეზიური, და სხვა), რის საფუძველზეც გადაწყდება თაბაშირის კარიერული ექსპლუატაციის საკითხი.**

მეცნიერებათა აკადემია მზადაა, მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ კვლევებში.“

* * *

საინიციატივო ჯგუფის მიერ წამოჭრილი პრობლემა საგანგაშოდ მიიჩნია **საქართველოს ენერგეტიკის აკადემიამ,** რომელმაც წამოაყენა წინადადება სასწრაფოდ სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ (გაზ. „საქ. რესპ.“, 2014წ., 3 სექტემბერი): **„იმის გათვალისწინებით, რომ მაღლივკაშხლიანი და დიდწყალსაცავეებიანი ჰიდროელექტროსადგურები მაღალი რისკის ობიექტებს განეკუთვნებიან, ჩვენც მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შეიქმნას შესაბამისი სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული სახელმწიფო კომისია.**

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია გამოთქვამს კომისიის მუშაობაში მონაწილეობისთვის მზადყოფნას.“

* * *

საინიციატივო ჯგუფის მიერ საკითხის გამწვავების ფონზე ენგურჰესის დირექციამ საგანგებოდ მოიწვია მოსკოვის ,,ჰიდროპროექტის“ გეოდინამიკური დაკვირვებების სამსახური აკადემიკოს ანატოლი სავიჩის ხელმძღვანელობით. რაც უნდა გასაკვირი იყოს, აკადემიკოს სავიჩის დასკვნა **ლამის სიტყვასიტყვით** იმეორებს **იმ მოთხოვნებს,** რაც ჯერ საინიციატივო ჯგუფმა, მხარის გუბერნატორიდან დაწყებული, საქართველოს პრემიერ მინისტრამდე ყველა სამთავრობო და სახელისუფლებო უწყებას, სათანადო ორგანიზაციებს დაუგზავნა, სახალხოდ გაახმოვანა პრესის, ტელევიზიებისა და ინტერნეტის მეშვეობით, ხოლო შემდგომ იგივე პოზიცია საჯაროდ, პრესის ფურცლებზე გამოხატა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ! კერძოდ, **შექმნილ სიტუაციაში აკადემიკოს ანატოლი სავიჩს აუცილებლად მიაჩნია:**

1) სპეციალური გამოკვლევის დასრულებამდე შეჩერდეს მოპოვებითი სამუშაოები თაბაშირის კარიერზე, რომელიც უშუალოდ ემიჯნება მეწყერსაშიშ მონაკვეთს;

2) აღნიშნულ უბანში ჩატარდეს კომპლექსური — გეოლოგიურ-გეოფიზიკური გამოკვლევები, რომელიც მოიცავს დეტალურ ტოპოგრაფიულ, ინჟინრულ-გეოლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ და სხვა შესაბამის გამოკვლევებს (ჭაბურღილების შემდგომი ფუნქციონირების მიზანშეწონილობის შესახებ და დადოს ოფიციალური დასკვნა;

2) ოფიციალური დასკვნის დადებამდე შეწყდეს ყოველგვარი სამუშაოები;“

ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა სოციალური ქსელების მეშვეობითაც, თავიდანვე მას და საგანგებოდ ადგილობრივი დასახლებების მცხოვრებთაგან შექმნილ საინიციატივო ჯგუფს გამოეხმაურა ინტერნეტ და ტელე-მედიის უამრავი საშუალება...

* * *

3 ივლისს წერილს ოპერატიულად გამოეხმაურა **პრემიერ-მინისტრის აპარატი,** საიდანაც წერილის ავტორებს აცნობეს, რომ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მისი ასლები სასწრაფოდ რეაგირებისათვის გადაუგზავნეს ენერგეტიკის, აგრეთვე — გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებს.

* * *

მიმდინარე წლის 30 ივლისს საინიციატივო ჯგუფმა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის **ქალბატონ ეკა ბესელიასაგან** მიიღო მათი წერილის საფუძველზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ახალ მინისტრ ბატონ ელგუჯა ხოკრიშვილისადმი გაგზავნილი წერილის ასლი, რომელშიც კომიტეტის თავმჯდომარე ნათლად და გასაგებად აღნიშნავს:

,,...განმცხადებლები ყურადღებას ამახვილებენ იმ საფრთხეებზე, რაც შეიძლება წარმოიქმნას ბუნებაზე ადამიანის უხეში ჩარევის შედეგად და **უთითებენ გარემოებებზე, რომლებიც ჩვენი მოსაზრებით საჭიროებენ დეტალურ და საფუძვლიან შესწავლას**.

გთხოვთ, გაეცნოთ განცხადებას, აიყვანოთ პირად კონტროლზე და **უზრუნველყოთ მასში დასმული საკითხების დროული და ობიექტური გადაწყვეტა**.“

* * *

უფრო ადრე, 9 ივლისს, ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ,,გარემოს ეროვნული სააგენტოს“ დღეს უკვე ყოფილი უფროსი ბატონი **შალვა ჯავახაძე** საინიციატივო ჯგუფისადმი გამოგზავნილი წერილში ორჯერ გარკვევით ამბობს:

1) „რაც შეეხება საკუთრივ კოლექტიურ წერილს (მომართვას), უნდა ითქვას, რომ მასში დასმული საკითხები მართლაც აქტუალურია. კერძოდ, მხარს ვუჭერთ იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც საჭიროა, **უფრო მეტიც: აუცილებელია** ხუდონის თაბაშირის საბადოს და მიმდებარე ტერიტორიის კომპლექსური გეოლოგიური კვლევა, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს წერილში დასმულ საკითხებს“.

2) „აქვე უნდა ითქვას, რომ **ვიზუალური დაკვირვება,** როგორი სიხშირითაც არ უნდა განხორციელდეს ის, **ვერ შეცვლის, არ წარმოადგენს დეტალური კომპლექსური კვლევის ალტერნატივას, რომლის ჩატარების მიზანშეწონილობას კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს“.**

საქმე ისაა, რომ უფრო ადრე საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე სააგენტოს სპეციალისტებმა (სამწუხაროდ, მხოლოდ გეოლოგებმა!) ჩაატარეს აღნიშნული ტერიტორიის **ვიზუალური დაკვირვება** და მათაც უამრავი დარღვევა აღმოაჩინეს...

* * *

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ დღევანდელი უფროსი **ვლადიმერ ლაზარიშვილი** ენგურის ხეობის საინიციატივო ჯგუფის

ბურღვითი სამუშაოების ჩათვლით და სხვა).

3) ამ გამოკვლევების საფუძველზე, მონაკვეთზე მეწყრის სტაბილიზაციის მიზნით, შემუშავდეს რეკომენდაციები და შეიქმნას მეწყრული პროცესების მონიტორინგის სისტემა.

* * *

უაღრესად საგანგაშო და სახიფათო უწოდეს თაბაშირის კარიერის გახსნას ენგურჰესის წყალსაცავის მარცხენა ფერდზე ამიერკავკასიაში წყალსაცავების უპირველესმა სპეციალისტმა, **პროფესორმა გიორგი მეტრეველმა (ტ.:599 54 79 30),** რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ აქვს შესწავლილი ეს ტერიტორია, და ენგურჰესის წყალსაცავის დაგუბების პერიოდში მშენებლობის **ჰიდროლოგიური პარტიის უფროსმა ნუგზარ შეროზიამ (ტ.:568 86 67 58)** თავიანთ სატელევიზიო და სოციალურ ქსელში კომენტარებისას.

გასული წლის 18 ნოემბერს აღნიშნულ პრობლემას საგანგებო გადაცემა მიუძღვნა თავის ეთერში **მედია-ორგანიზაცია „ობიექტივმა“**. გადაცემაში სხვა კომპეტენტურ სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობდა ენგურჰესის მშენებლობის ყოფილი უფროსი, ლეგენდარული ჰიდრომშენებელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ბატონი **ნოდარ შარტავა,** რომელმაც კატეგორიულად გამორიცხა ყოველგვარი მოპოვებითი სამუშაოების წარმოება ენგურჰესის წყალსაცავის ფერდზე.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ საინიციატივო ჯგუფს გარკვეული სერიოზული პრეტენზიები გვქონდა შპს „ენგურჰესის“ ზოგიერთ ხელმძღვანელთან (მათ შორის, „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული გაუგებარი წერილის გამოც), მაგრამ გულწრფელად მივესალმებით მის ბოლო, დღევანდელ, პოზიციას და, **მით უმეტეს — მიმდინარე წლის 2 თებერვალს წყალსაცავის ხოკოს მონაკვეთის შესაბამისი მეცნიერული შესწავლისათვის ტენდერის გამოცხადებას (www.procurement.ge ტენდერის ნომერი: SPA150003244).**

* * *

რაოდენ უცნაურად და კურიოზულად არ უნდა ჩანდეს:

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ენგურისპირელთა საინიციატივო ჯგუფის შეშფოთებას იზიარებენ და მოთხოვნებს მხარს უჭერენ შესაბამისი მეცნიერები და სპეციალისტები, **რაც უნდა გასაკვირი იყოს,** თვით ლიცენზიის გამცემი ორგანოს — საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ **ყოფილი და დღევანდელი უფროსებიც** (მათი ზემოთ მოყვანილი წერილებიდან გამომდინარე), უფრო მეტიც: როგორც უკვე ვნახეთ, ენგურჰესის წყალსაცავის მარცხენა ფერდის — ხოკოს კარიერის ტერიტორიის სათანადო მეცნიერული შესწავლისათვის ოფიციალურად ტენდერიცაა გამოცხადებული და უკვე, ჩვენთან ერთად, შპს „ენგურჰესის“ ხელმძღვანელობაც სამუშაოების შეჩერებას ითხოვს, შპს „ხიბლის“ მესვეურებს ერთი დღითაც არ შეუჩერებიათ მძიმე ტექნიკით თაბაშირის მოპოვების სამუშაოები(?!). უფრო მეტიც, იანვარ-თებერვალში **მუშაობის ტემპი გააათმაგეს — დღედაღამ და შაბათ-კვირაც არ ისვენებენ,** არადა, დასვენების დღეებში ადრე არ მუშაობდნენ...

მივმართავთ შპს „იბლის“ **მესაკუთრეებს — ზაურ კვიკვინიას, მერაბ ქარდავას** (რუსეთის მოქალაქე **ბორის ტუაევი** როგორ დავანამუსოთ? თუმცა, მ. ქარდავასაც სამშობლოდ ჯერ რუსეთი უწერია, მერე — საქართველო), **დირექტორ რამაზ ქობალიას, სამუშაოთა მწარმოებელ ოთარ ჩიქავას** — დავუშვათ და, დასაწყისში არ იცოდით, ქვეყნისთვის რა სახიფათო საქმიანობა წამოიწყეთ, მაგრამ დღეს?..

ისე ფაციფუცით მუშაობთ, თითქოს დასწრებაზე იყოთ!

სამშობლოს უდგეხართ ჯიბრში?!

თუმცა, **იქნებ კოლხეთი, საქართველო არც ერთს მიგაჩნიათ სამშობლოდ?**

ეს ერთი! ახლა მეორე: სამშობლოს, ქვეყნის, საზიანოდ **(თუნდაც ამის ოდნავი, გაუფანტავი, ეჭვიც არსებობდეს!)** მიმართული საქმიანობით ნაშოვნი ფული **ბინძური ფულია!** უზნეოდ მოპოვებული, ბინძური ფულის ოჯახში შეტანა, ოჯახში, მით უმეტეს, სადაც მომავალი თაობა იზრდება და მომავალზე საღად ფიქრობენ, დიდი ცოდვაა! **ვაშინერს!** (უფლის მიერაა აკრძალული, ტაბუა დადებული!).

ეს, რა თქმა უნდა, მარტო „ხიბლს“ არ ეხება:

სანამ გვიან არ არის, **ყველამ, ენგურჰესიდან თბილისამდე,** ვინც ამ, ჩვენი აზრით, დიდად უზნეო საქმეში ამ შპს-ს **უკან დგახართ და „ხიბლთან“ ერთად ხიბლიც ნახეთ და ხეირიც,** იფიქრეთ ამაზე. **ამასთან, უზნეობა მარტო უზნეო საქციელის ჩადენა როდია, უზნეო და ცოდვილია ისიც (შესაძლოა, ორჯერ უფრო მეტადაც!), ვისაც ამ უზნეობის აღკვეთა შეეძლო და თითიც არ გაანძრია!**

— ვაშინერს, ბატონებო!

* * *

რბილად რომ ვთქვათ, **გაოცებას იწვევს** გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროსა და მისი **მინისტრის ბატონ ელგუჯა ხოკრიშვილის** დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, განსაკუთრებით კი — **გარემოს ეროვნული სააგენტოს** პასიური, ჩვენი აზრით, ანტისახელმწიფოებრივი პოზიცია(?!).

კიდევ ერთხელ (მერამდენედ!) შეგახსენებთ: **„ბატონებო, ეს ენგურჰესია — 271,5 მეტრის სიმაღლის თაღოვანი კაშხლით, 30 კილომეტრის სიგრძეზე გადაჭიმული 1 მილიარდ 100 მილიონი კუბური მეტრი წყალსაცავით და 9 მეტრის დიამეტრის 15 კილომეტრის სიგრძის სადერივაციო გვირაბით! — მას ისეთივე სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ, როგორც ატომურ რეაქტორს, რომელსაც, სიკეთესთან ერთად, უდიდესი ტრაგედიის დატრიალებაც შეუძლია!“** („საქ. რესპ.“, 2014წ., 12 ივლისი).

სოსო ენგურელი, დავით ხასაია,
მანონ ფიფია, კარლო მანია,
იგორ ცხადაია, გონდო მანია,
ველოდი სამუშია, გიგა ფიფია,
ფლორა ძანთარია,
გიგა აძუბარდია, გენო ფიფია,
რევაზ გოგოხია,
ანზორ ჭანტურია, გვანჯი მანია,
მურად ჭანტურია.

საინიციატივო ჯგუფის საკონტაქტო ტელეფონები:
599 24 77 05, 599 15 40 46 (ქ. ჯვარში);
593 51 27 47 (თბილისში).
15.02.2015

P. S. „...ამ სურათებს შეხედეთ: ხედავთ, რას „ეთამაშებიან“?! ამ უზარმაზარი წყლის მასის (შეგახსენებთ — 1 მილიარდ 100 ათასი კბმ!) შემკავებელი ფერდის ყველაზე სუსტ (!) და თავისთავად ისედაც ყველაზე სახიფათო ადგილს თხრიან და შლიან! ესაა, საქართველოს გადასარჩენად მოვედითო?! ბატონო პრემიერ-მინისტრო და გამარჯვებული პარტიის ლიდერებო, დროზე მიიღეთ ზომები!

დედამიწის ზურგზე

„ნორმანდიის ოთხეულის“ საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელები მიფრინავენ პარიზში, რათა განიხილონ მინსკის შეთანხმებათა შესრულება უკრაინასთან დაკავშირებით

დიპლომატიური წყაროების მონაცემებით, რუსეთის ფედერაციის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები აპირებენ განიხილონ მძიმე შეიარაღების გაყვანა მტრულ მხარეთა შეხების ხაზიდან უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში. კიევს ასევე განზრახული აქვს დააყენოს საკითხი გაეროს მშვიდობისმყოფელების შესახებ უკრაინაში.

გამოკითხვა: ამერიკელთა უმრავლესობა უკრაინაში იარაღის მიწოდების წინააღმდეგ გამოდის

როგორც მკვლევარებმა გამოარკვიეს, გათიშვა ხმებში კიევისთვის საფრენი შეიარაღებით დახმარების გაწევის მოწინააღმდეგეებსა და მომხრეებს შორის შემცირდა. ამჟამად გამოკითხულთა 53 პროცენტი ასეთი დახმარების წინააღმდეგია, 41 პროცენტი მხარს უჭერს იარაღის მიწოდებას. შარშან აპრილში 62 პროცენტი ამ იდეის წინააღმდეგი იყო, 30 პროცენტი მას მხარს უჭერდა.

ტანზანიაში სკოლის ოთხი მოსწავლე და მასწავლებელი მეხის დაცემისგან გარდაიცვალნენ

ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლის უილიამ ლიტუხის სიტყვებით, მეხის მუხტი აღმოჩნდა სკოლის კლასში სოფელ ნიაკასანდრაში (კიგომის რეგიონია). მოსწავლეები და პედაგოგი ცდილობდნენ დამალულიყვნენ შენობაში ჭექა-ქუხილის შიშით. შედეგად 5 კაცი დაიღუპა ადგილზე. კიდევ 17 ბავშვმა, რომლებიც მეხის დაცემის დროს შენობაში იმყოფებოდნენ, ტრავმები მიიღეს.

მაშველებმა 19 ზღვის ძროხა გადაარჩინეს, რომლებიც ფლორიდის სანაპიროზე მილში გაიჭედნენ

ოპერაცია ლამანტინების გადასარჩენად, რომლებიც ხაფანგში აღმოჩნდნენ, ვინაიდან არ შეუძლიათ უკან ცურვა, რამდენიმე საათი გაგრძელდა. ლამანტინების გადასარჩენად მაშველებს მოუწიათ გადაეჭრათ სადრენაჟო მილი და გამოეყენებინათ დედალი გედები. უკანასკნელ პერიოდში ზღვის ძროხების დიდი ოდენობა შემოდის სანაპიროს არხებსა და ტბორებში არაჩვეულებრივად ცივი ამინდის გამო, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიკის სანაპიროზე მძვინვარებს.

◎ კაკალ გულში

წერილოვანი თქმანები

● **ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების გამო, ბიზნესმენს, პოლონეთიდან ჩამოტანილი 23 ტონა ვაშლიდან, მხოლოდ ორი ტონა გაეყიდა („იმედის კვირა“, 20 სთ. 08 წთ.)**

ცოდოა, მაგრამ ახია!

ამ საიმპორტო ოპერაციისას, „ბიზნესმენმა“, სულ ცოტა ორჯერ ხომ მაინც აუარ-ჩაუარა გორს?!

● **სააკაშვილი პენსიას ლარებში მიიღებს, თუ გრივნებში?**

● **რუსეთი ან ამერიკა კი არა ..რუსეთსა და საქართველოს შორისაა არჩევანი... რუსეთი ან ამერიკა კი არა, რუსეთსა და უკრაინას შორისაა არჩევანი...**

სააკაშვილი კი ვიცი ვინცაა, მაგრამ შენ რომ უსაქმურ-უნიათო-მომხვეჭელ-კორუმპირებული მთავრობა გყავს, და ვერ ხვდები რა შედეგები გელის,შენ ვინ ხარ.....

ამ მარტივი კითხვების მარტივი პასუხები სულ მალე გადამწყვეტი იქნება და ჩვენ შორის საზღვარს გაავლებს...

● **„ქამრების შემოჭერის“ პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტიდან გამოიყო 50 მილიონი... ქამრების შესაძენად.**

● **„ევროატლანტიკური არჩევანი“ რომ მესმის, მზად ვარ, იარაღზე ვიტაცო ხელი! თვით არჩევანს ისე არ ვერჩი, როგორც მთლიანად გამოთქმას.**

● **ქუცნაშვილს შირაკოუგოლნიკით იღებენ ხოლმე თუ ეგეთია?**

● **იმ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს მოვკარი თვალი, ვინც ჩვენს მთავრობასთან და ეროვნულ ბანკთან ერთად ლარი უნდა გადაარჩინოს და მინდა, გითხრათ, რომ არც ერთ მათგანთან, არათუ ცხოვრებაში, ფეისბუქზეც არ ვიმეგობრებდი.**

● **ჩნდება ეჭვი, რომ ქამრების ბიზნესი ეროვნული ბანკის პრეზიდენტისაა.**

● **ეკონომიკის მინისტრმა სიამაყით გვაცნობა, რომ ხშირად დაიარება ფეხით და არ ჰყავს პირადი დაცვა.**

ყველა მონაცემი აღმომაჩნდა ეკონომიკის მინისტრობისთვის.

● **გივი ჭიჭინაძეს, რომელიც მთელი ცხოვრებაა მღერის (სხვათა შორის, ძალიან კარგად), რატომ უნდა ჰქონდეს პრეტენზია იმერეთის გუბერნატორობაზე? ან მთავრობას, რატომ არ უნდა ჰქონდეს მეტ-ნაკლებად კვალიფიციური კადრების შერჩევის უნარი თუ სურვილი?**

ჭიჭინაძე — იმერეთში; უშიკიშვილი — კახეთში; ჭკუასელი — გურიაში და ვიმღეროთ და ვიყოთ.

„დაჰკა დოლი, გასჭიმე გარმონი“...

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ცურვა

ღიაზე მედლები სტუმრებსაც ერგოთ

ჩვენი ქვეყნის, აზერბაიჯანისა და ბელარუსის 140-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა თბილისის „ოლიმპიკის“ აუზში გამართულ მოცურავეთა საქართველოს ზამთრის ღია ჩემპიონატში.

შეჯიბრებაში ჩვენებურთაგან რამდენიმე წამყვანი მოცურავე

არ ასპარეზობდა: ირაკლი რევიშვილი, თემურ კობახიძე, აკაკი ვაშაკიძე, გიორგი ბიგანიშვილი და ჯუდერ ბიჭიკაშვილი წახკაძორში (სომხეთი) იმყოფებიან საწვრთნელ შეკრებაზე, დავით კობახიძე კალიფორნიაში (აშშ), ირაკლი ბოლქვაძე კი ავსტრიაში ემზადება მომავალი ტურნირებისთვის.

„ოლიმპიკის“ აუზში იყოჩაღა თბილისელმა დავით შახნაზაროვმა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს და ვარჯიშობს. მან 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. კარგად იასპარეზა მერი მუმლაძემაც – 50 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ისეთი შედეგი აჩვენა, ევროპელთანატოლთა მაჩვენებლებს ბევრით რომ არ ჩამოუვარდება.

ზამთრის ღია ჩემპიონატის შედეგების მიხედვით მწვრთნელებმა დაასახელეს საფესტივალო ასაკის 10 მოცურავე, რომლებიც 20-22 მარტს სლოვაკეთში საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯავენ ძალებს. ესენი არიან: მერი მუმლაძე, ირაკლი კვარაცხელია, ელენე ბერაია, რუსუდან გოგინაშვილი, ლევან ბახტურიძე, საბა მდივანი, გივი დუდაშვილი, გიორგი ხმელიძე, ალექსანდრე ლომიძე და თინათინ გიგაური.

ახლა კი ჩემპიონთა ვინაობას გაგაცნობთ:

გოგონები

თავისუფალი ყაიდა. 50 მ. მერი მუმლაძე („ტონუსი“, 27,79), **100 მ.** ფატიმა ალკაპამოვა (აზერბაიჯანი, 1.02,14), **200 მ.** მერი მუმლაძე (2.20,01), **400 მ.** ფატიმა ალკაპამოვა (4.55,60), **4X50 მ.** საქართველოს ნაკრები (1.56,98), **4X100 მ.** საქართველოს ნაკრები (4.31,62), **ბრასი. 50, 100 და 200 მ.** ალინა ზმუშკო (ბელარუსი, 32,08-1.11,14-2.41,48), **ბატერფლაი. 50 მ.** ეკატერინა აფანასიევა (ბელარუსი, 28,92), **100 მ.** რუსუდან გოგინაშვილი (1.09,30), **200 მ.** ანა ანდრიუშჩენკო (აზერბაიჯანი, 2.51,31), **გულაღმა ცურვა. 50 მ.** ეკატერინა აფანასიევა (31,11), **100 მ.** რუსუდან გოგინაშვილი (1.12,45), **200 მ.** მარიამ წერეთელი (2.46,76), **კომპლექსური. 200 და 400 მ.** რუსუდან გოგინაშვილი (2.34,88-5.31,12).

ვაჟები.

თავისუფალი ყაიდა. 50 მ. დავით შახნაზაროვი („ტონუსი“, 24,48), **100 მ.** ვლადისლავ ბაბკინი (ბელარუსი, 54,06), **200 მ.** ნიკოლაი ტრაპოვი (აზერბაიჯანი, 2.09,35), **400 მ.** ირაკლი კვარაცხელია („ტონუსი“, 4.25,22), **4X50 მ.** „ტონუსი“ (1.45,29), **4X100 მ.** „ტონუსი“ (3.53,73), **ბრასი. 50 და 100 მ.** ლევან ბახტურიძე (საჩხერე, 31,63-1.10,51), **200 მ.** დავით შახნაზაროვი („ტონუსი“, 2.32,60). **ბატერფლაი. 50 და 100 მ.** დავით შახნაზაროვი (26,31-56,96), **200 მ.** ლუკა პატარაია (რუსთავი, 2.23,37), **გულაღმა ცურვა. 50 მ.** ზურაბ ხაბაზი („გლდანი“, 28,65), **100 და 200 მ.** ნაზირ ისმაილოვი (აზერბაიჯანი, 1.02,54-2.22,28), **კომპლექსური. 200 მ.** დავით შახნაზაროვი (2.15,07), **400 მ.** ირაკლი კვარაცხელია (5.04,24).

ლეძსო ციწცაძე

სურათზე: მერი მუმლაძე.

◎ ჟადრაკი

ჯობავა შვიდი საფეხურით დაწინაურდა

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა ფიდეს მსოფლიოს გრან პრის მე-3 რაუნდში პირველი ოთხი ტურის შემდეგ ქართველი დიდოსტატი ბაადურ ჯობავა 0.5 ქულით 12 მონაწილეს შორის ბოლო ადგილზე იყო. მე-5 ტურამდე ერთდღიანმა შესვენებამ ჩვენებურზე დადებითად იმოქმედა: ბოლო ოთხ ტურში 3.5 ქულას მოუყარა თავი და მე-5 ადგილზე აღზევდა. მე-8 ტურში მან შავი ფიგურებით რუს პიოტრ სვიდლერს 31-ე სვლაზე გააჩერებინა საათი. იმავე ტურში წარმატებით ითამაშა ერთპიროვნულმა ლიდერმა ევგენი

ტომაშევსკიმაც (რუსეთი) – მანაც შავებით მაქსიმ ვაშიე-ლაგრავს (საფრანგეთი) აჯობა. დანარჩენ შეხვედრებში დაზავდნენ: ანიშ გირი (ჰოლანდია)-ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი), ლენიერ დომინგესი (კუბა)-დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი), რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი)-დმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი), თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)-შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი).

რვა ტურის შემდეგ: ტომაშევსკი-6, იაკოვენკო-5, კასიმჯანოვი, რაჯაბოვი-4,5-4,5, ჯობავა, მამედიაროვი, დომინგესი, გირი-4-4, გრიშჩუკი-3,5, სვიდლერი, ვაშიე-ლაგრავი-3-3, ანდრეიკინი-2,5 ქულა.

გუშინ მოჭადრაკეებმა დაისვენეს. დღეს მე-9 ტურში ითამაშებენ: ანდრეიკინი-რაჯაბოვი, ტომაშევსკი-კასიმჯანოვი, ჯობავა-ვაშიე-ლაგრავი, იაკოვენკო-სვიდლერი, გრიშჩუკი-დომინგესი, მამედიაროვი-გირი.

გივი გაგუა

ქართველები - იერუსალიმში

გუშინ იერუსალიმში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი, რომლის საპრიზო ფონდია 110.000 ევრო. ტურნირის გამარჯვებული 16.000 ევროთი დაჯილდოვდება. მეორე-მესუთე ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს, შესაბამისად, 14.000-12.000-10.000 და 8.000 ევრო გადაეცემათ, სულ ტურნირზე კი 17 ფულადი პრიზია დაწესებული.

ჩემპიონატში სხვადასხვა ქვეყნის 255 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის – ოთხი ქართველი: ლევან ფანცულაია, მიხეილ მჭედლიშვილი, დავით ჯოჯუა და ნინო ბაციაშვილი.

ჩემპიონსა და პრიზიორებს 11 ტური გამოავლენს. 28 თებერვალი და 7 მარტი ჩემპიონატზე დასვენების დღეებია.

თამაზ პატარაია

◎ ძიუდო

ნაკრები დააკომპლექტეს

რვა რეგიონის 300-მდე 21-წლამდელი ძიუდოისტი მონაწილეობდა საქართველოს ჩემპიონტში, რომელსაც ყვარელმა უმასპინძლა.

ასპარეზობას ამ ასაკის ორი გამოკვეთილი ლიდერი აკლდა: ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ბექა ღვინიაშვილმა (90) დიუსელდორფის „დიდ პრიზზე“ იბრძოლა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ევროპის ჩემპიონმა გურამ თუშიშვილმა კი ხელის ოპერაცია გაიკეთა და ჯერჯერობით ისვენებს. ამ ტურნირს უნდა გამოერკვია ახალგაზრდული ნაკრების წევრებისა და მათი სპარინგ-პარტნიორების ვინაობა. ბევრმა ახალგაზრდამ კარგი ფიზიკური და ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება წარმოაჩინა, თუმცა ლიდერთაგან ზოგს ხელიც მოეცარა. წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ილია შუბითიძე (ცხინვალი, 55კგ), ივანე ჯავახიშვილი (შიდა ქართლი, 60), ზვიად ხუბულური (შიდა ქართლი, 66), გიორგი კაციაშვილი (შიდა ქართლი, 73), ლევან გუგავა (იმერეთი, 81), ნოდარ ბერიანი (ქვემო ქართლი, 90), ნიკა აბულაძე (მცხეთა-მთიანეთი, 100), ჯაბა მუმლაძე (კახეთი, +100).

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

დავიდ ფერერი - ლათინური ამერიკის მეფე

რიო დე ჟანეიროს პრესტიჟული ტურნირის ფინალში იტალიელი ფაბიო ფონინის 6:2, 6:3 დამარცხებისა და მთავარი პრიზის მოპოვების შემდეგ 32 წლის ესპანელი დავიდ ფერერი კარიერის განმავლობაში 23-ე ტიტულის მფლობელი გახდა, ამასთან ლათინურ ამერიკაში ჩატარებული შეჯიბრებები მან ყველაზე მეტჯერ, მეშვიდედ მოიგო. ამ მაჩვენებლით ფერერმა თანამემამულე ნიკოლას ალმაგროს (6 ტიტული) გაასწრო და ისეთ ჩოგბურთელებს სჯობს, როგორებიც ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი და ესპანელები რაფა ნადალი და კარლოს მოიაა. ამ სამეულმა ლათინურ ამერიკაში 5-5 ტურნირის მოგება მოახერხა.

ფერერმა პირველად იმარჯვა რიოში, 2012-14 წლებში მიჯრით სამჯერ ბუენოს აირესში მოიპოვა მთავარი პრიზი, 2010-12 წლებში კი ბადალი არ ჰყავდა მექსიკის საკურორტო ქალაქ აკაპულკოში.

„რიოში პირველად ვიმარჯვე და კარიერის განმავლობაში 23-ე ტურნირი მოვიგე. ამით მეტად კმაყოფილი ვარ. გასულ კვირას კარნავალზე ვიყავი, ამასთან შეჯიბრებაზე მეტად კარგი საასპარეზო პირობები იყო. წლეულს მეორე ტურნირზე ვიმარჯვე. საკუთარი გამოსვლით და საუკეთესოთა შორის ყოფნით კმაყოფილი ვარ“, – განაცხადა დავიდმა.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

სონია ამორუზომ ქმრის ფინანსური გეგმები გაამხილა

ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელის ალესანდრო დელ პიეროს მეუღლე სონია ამორუზო ამხელს მისი ოჯახის ფინანსურ გეგმებსა და ზრახვებს და აპენინელ ჟურნალისტებთან საუბარში ამბობს, რომ ჯერ კიდევ შარშან ალესანდრო ტურინის „იუვენტუსის“ აქციების შეძენას აპირებდა.

სონია ამორუზო ამბობს, რომ დელ პიერომ ერთ დროს მისი მშობლიური კლუბის აქციების შეძენა იმიტომ გადაიფიქრა, რომ ფინანსურმა კონსულტანტებმა იტალიაში მორიგი ფინანსური კრიზისი ივარაუდეს და შესაძლებელია ამ კრიზისს საფეხბურთო კლუბების აქციების ფასების დაცემაც მოჰყვესო.

სონია ამორუზო პროფესიით მოდელი გახლავთ და როგორც ირკვევა, პოდიუმზე ლაღად გავლის გარდა ფინანსური ამბებითაც ძალიან არის დაინტერესებული. ალესანდრო დელ პიეროს მეუღლემ სპეციალური კურსები გაიარა და შესაძლებელია სულ მალე ფინანსისტის ამპლუაში წარუდგეს საზოგადოებას.

როსტომ რაჭველიშვილი

სიკეთით დამაშვრალი

ბატონ **ნუგზარ ნადარაიას,** სამშობლოსა და ერის სიყვარულში გულანთებულ, სიკეთის ქმნაში დამაშვრალ ჭეშმარიტ მამულიშვილს, ჭეშმარიტ მართლმადიდებელს, ქრისტესმიერი სიყვარულით ვულოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს – დაბადებიდან 70 წლისთავს, ვუსურვებთ დიდი ხნის ჯანმრთელ, ბედნიერ სიცოცხლეს შესანიშნავ ოჯახთან ერთად.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი ღირსეული მამულიშვილები...

ეხაროს ორსავ სოფელსა შინა!

დიდი პატივისცემით –

ნანული (ნანა) გუნია,
ედუარდ კავთიძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები;
გიორგი ლაგვილავა,
ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი.

◎ ფინანსები

დოლარი მეზობელი ქვეყნების ვალუტებთანაც მყარდება

ლარის გაუფასურების ფონზე, ეკონომიკის ექსპერტები დოლართან მიმართებაში მეზობელი ქვეყნების ეროვნული ვალუტის მდგომარეობაზე საუბრობენ

„საზოგადოება და ბანკების“ ეკონომიკურმა ანალიტიკოსმა ნუცა თოხაძემ BPN-თან მიმოიხილა, როგორ იცვლებოდა ბოლო 6 თვის განმავლობაში სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, რუსეთისა და უკრაინის ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში. სტატისტიკური მონაცემებით ჩანს, რომ აზერბაიჯანის გარდა, დოლარი ყველა ქვეყანაში გამყარდა. ჩამოთვლილი ქვეყნებიდან, ყველაზე მეტად დოლართან მიმართებაში უკრაინული გრივნა გაუფასურდა. 2014 წლის 20 სექტემბრიდან დღემდე უკრაინის ეროვნული ვალუტა 108%-ით გაუფასურდა. ამავე პერიოდში რუსული რუბლი დოლართან მიმართებაში 61.6%-ით გაუფასურდა, ქართული ლარი 24.8%-ით, სომხურმა დრამმა კი 17%-ით განიცადა დევალვაცია, ხოლო თურქულმა ლირამ 10%-ით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზერბაიჯანულ მანათს კურსის ვარდნა არ განუცდია.

ნუცა თოხაძე საქართველოში ლარის გაუფასურების მიზეზად გარე და შიდა ფაქტორებს ასახელებს. ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ გარე ფაქტორებმა საქართველოს მეზობელი ქვეყნების ეროვნული ვალუტების დევალვაციაშიც იჩინა თავი და ერთ-ერთი განმაპირობებელია გაუფასურებისა... თუმცა, არის თუ არა ჩართული ამ პროცესში შიდა ფაქტორები, როგორც თოხაძე განმარტავს, ამისთვის საჭიროა სიღრმისეული გამოკვლევა ამ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის.

„ჩვენ შემთხვევაში ლარის ასე გაუფასურება საკმაოდ მძიმედ აწევს ქვეყანას და აქედან ყველაზე მეტად ზარალდება ის ხალხი, ვისაც შემოსავლები ლარში აქვს, ვალდებულებები კი დოლარში. დავზარალდით ყველა, რადგან ფასებმაც მოიმატა, თუმცა, ეს მაჩვენებელი ჯერ კატასტროფულად მაღალი არ არის. თუმცა, ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, მცირედი ფასების მატების მიმართაც საზოგადოება ძალიან სენსიტიურია, რადგან სიღარიბის მაჩვენებელი ჩვენთან საკმაოდ მაღალია. ზოგადად, ლარის კურსი კარგად ასახავს ხოლმე ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ლარის ასეთი გაუფასურება მიუთითებს, რომ ეკონომიკაში ბევრი პრობლემაა, რომელთა მოგვარებასაც ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სჭირდება“, – აცხადებს თოხაძე.

თურქეთი, რუსეთი და უკრაინა საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან. ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე განმარტავს, რომ სამივე ქვეყანას ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, რაც პირდაპირ აისახება ლარის კურსზე.

„რუსეთის და უკრაინის პრობლემები იდენტურია და გამოწვეულია რუსეთ-უკრაინის კონფლიქტით და საერთაშორისო პრესინგის პოლიტიკით რუსეთთან მიმართებაში. ორივე ვალუტა – გრივნაც და რუბლიც, მნიშვნელოვნად უფასურდება და ეს ძალიან ნეგატიურად აისახება საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობებზე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო იმპორტზე ორიენტირებული ქვეყანაა, ამ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების გართულება ნეგატიურ გავლენას ახდენს ლარის კურსზე. თურქეთის ვითარება ცოტა განსხვავებულია. თურქეთში ლირას გაუფასურების პროცესი არ არის განპირობებული მსოფლიო გლობალური ეკონომიკური პროცესებით, ეს არის მიზანმიმართული პოლიტიკა თურქეთის ხელისუფლებისა, რომელიც აწარმოებს ეროვნული ვალუტის ხელოვნურ დევალვაციას და ახდენს ინფლაციის სტიმულირებას, რათა ექსპორტზე ორიენტირებული წარმოება წახალისდეს. რუსეთ-უკრაინისა და თურქეთის საკითხები ამ მიმართულებით განსხვავებულია, მაგრამ ჩვენთვის შედეგის თვალსაზრისით არაფერი იცვლება. თურქეთი არის ჩვენი მნიშვნელოვანი პარტნიორი და როდესაც ლირა უფასურდება, ეს ნეგატიურად აისახება ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობაზე. ჩვენი ექსპორტის მაჩვენებელი ამ ქვეყნებში იკლებს და იზრდება იმპორტის მაჩვენებელი. როცა ექსპორტი იკლებს და იმპორტი იზრდება, ეს ნიშნავს, რომ საქართველოდან გაედინება გაცილებით მეტი დოლარი, ვიდრე ქვეყანაში შემოედინება. დოლარის გასვლა-შემოსვლა განმსაზღვრელი ფაქტორია ლარის კურსის. ლარის პრობლემები განპირობებულია სწორედ იმით, რომ საქართველოში უცხოური ვალუტისა და ლარის მასებს შორის თანაფარდობა დარღვეულია. აქედან გამომდინარე, ეს ტენდენცია მნიშვნელოვნად აზარალებს თავად ეკონომიკას და მნიშვნელოვნად აძვირებს ცხოვრებას. საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვისაც შემოსავალი ლარში აქვს ფიქსირებული, მათთვის მნიშვნელოვნად დამძიმდა ცხოვრების დონე. ამ სამ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ტენდენციები პოზიტიური დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა“, – განმარტავს ეკონომიკის ექსპერტი.

ლექსო ნაბახტეველი

◎ ფრთხილად! ფრთხილად! ფრთხილად!

ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად მიღებული ზარალი წლიურად 518 მილიარდ დოლარს აღემატება

დღევანდელი მონაცემებით, ავტოსაგზაო შემთხვევები 2012 წელთან შედარებით, თითქმის 30%-ით გაიზარდა.

მაგალითისთვის: თუ 2012 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა 2016 იყო, 2014 წლის ბოლო მონაცემებით ეს მაჩვენებელი 2557-მდეა გაზრდილი. შესაბამისად, გაზრდილია ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაშავებული და გარდაცვლილი ადამიანების რიცხვი, 2012 წელი – 2876 დაშვებული, 2014 წელს – 3675 დაშავებული.

საქართველოს ისტორიაში ყველაზე მეტი – 2 808 ავტოსაგზაო შემთხვევა 2008 წელს აღირიცხა. 2008 წლის შემდეგ ავტოსაგზაო შემთხვევებმა საქართველოში საგრძნობლად იკლო. 2012 წელს 1995 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ამის მიზეზად შეგვიძლია, ჩავთვალოთ ბოლო წლებში გამკაცრებული სანქციები, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისთვის გატარებული რეფორმები, უსაფრთხოების ღვედების გამოყენება და სხვა. თუმცა, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 2012 წლის შემდეგ ავტოსაგზაო შემთხვევების მაჩვენებელი მზარდია.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად 1.2 მილიონი ადამიანი იღუპება, ხოლო 50 მილიონი ადამიანი იღებს ფიზიკურ დაზიანებებს. ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად მიღებული ზარალი წლიურად 518 მილიარდ დოლარს აღემატება.

ავტოსაგზაო შემთხვევების ძირითადი გამომწვევი მიზეზებია: 70% – მძღოლის დაუდევრობა, მძღოლის ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა და სხვადასხვა მოძრაობის წესების დარღვევა; 20% – გაუმართავი ინფრასტრუქტურა, დაზიანებული გზის სავალი ნაწილი, საგზაო ნიშნები და სხვა; 10% კი ავტომობილის ტექნიკური გაუმართაობა, უამინდობა და სხვა გარემო პირობები.

2012 წლის შემდეგ საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების გამომწვევი მიზეზებიდან ყველაზე დიდი წილი, 70% მძღოლის დაუდევრობასა და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე მოდის. დაუდევარი და არაკეთილსინდისიერი მძღოლების მხრიდან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უნდა აღკვეთოს საპატრულო პოლიციამ. თუმცა, სამწუხაროდ, საპატრულო პოლიციამ დღესდღეობით დაკარგა ის ავტორიტეტი, რაც გასულ წლებში ჰქონდა და ამის დამამტკიცებლად რამდენიმე ხნის წინათ მედიასაშუალებებით გავრცელებული კადრების მოყვანაც კმარა, სადაც ნაჩვენები იყო, თუ როგორ ექცევა დამრღვევი მოქალაქე/მძღოლი საპატრულო პოლიციის თანამშრომელს. სამწუხაროდ, არაკეთილსინდისიერი მოქალაქის დასჯის ნაცვლად, სამსახურიდან გაათავისუფლეს თავად პოლიციის თანამშრომელი.

ამას უკვე სისტემური ხასიათი აქვს, რაც პირდაპირ აისახება საპატრულო პოლიციის რეიტინგზე და ავტორიტეტზე, მსგავსი მოქმედებები ახალისებს არაკეთილსინდისიერ მოქალაქეებს-მძღოლებს და უბიძგებს მათ დაარღვიონ საქართველოს კანონმდებლობა, ამ შემთხვევაში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის სახით.

ეს პროცესი ჯერ კიდევ 2012 წლის შემოდგომაზე დაიწყო, როცა მთელმა საქართველომ იხილა, თუ როგორ აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას პოლიტიკური სტატუსის მქონე ყოფილი პატიმარი პოლიციის თანამშრომელს და რჩებოდა დაუსჯელი, უკეთეს შემთხვევაში კი – ჯარიმდებოდა 100 ლარით. სამწუხაროდ, ბოლო ორი წელია, მიზანმიმართულად მიმდინარეობს ძალოვანი უწყებების დისკრედიტაცია, რაც პირდაპირ აისახება მათ რეიტინგსა და ავტორიტეტზე. შედეგად კი გაზრდილ ავტოსაგზაო შემთხვევებთან ერთად, მივიღეთ ასევე გაზრდილი კრიმინალი, რაც პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან.

ასევე ავტოსაგზაო შემთხვევების გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად სახელდება გაუმართავი ინფრასტრუქტურა. ამ კუთხითაც ბოლო რამდენიმე წელია, სიტუაცია გაუარესდა. შეუიარაღებელი თვალითაც შესამჩნევია, თუ როგორ არის გამოსული მწყობრიდან საავტომობილო გზის საფარი თბილისსა და რეგიონებში, მოსაწესრიგებელია საგზაო ნიშნები და სხვა ტექნიკური ნაწილი.

დღეს, სამწუხაროდ, ქვეყნის სატრანსპორტო სისტემა სერიოზული კრიზისისა და გამოწვევის წინაშე დგას და ეს ყველაზე მეტად საავტომობილო ტრანსპორტზე აისახება. ბოლო 2 წელში ავტოსაგზაო შემთხვევების 30%-ით გაზრდა კატასტროფული მაჩვენებელია. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ტენდენცია მზარდია.

აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან ანტიკრიზისული გეგმის შემუშავება და ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა მომავალში მოხდეს ავტოსაგზაო შემთხვევების მაქსიმალურად შემცირება, რამაც შესაძლოა, გადაარჩინოს ასობით ადამიანის სიცოცხლე.

ვასო ურუშაძე,
კოალიცია „საზოგადოებრივი ინიციატივა“

◎ ინფორმაცია

გონიოს მოსახლეობა მიწების დაბრუნებას ითხოვს

გონიოს მოსახლეობა იმ მიწების დაბრუნებას ითხოვს, რომელიც მათ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჯერ გადასცეს, შემდეგ კი კვლავ ჩამოართვეს.

სადაო მიწები გონიოს ციხესთან და ზღვისპირა ზოლში მდებარეობს. ნაწილს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს, ნაწილზე კი, ხელისუფლება ტურისტული ინფრასტრუქტურის განთავსებას გეგმავს.

გონიოში აქციის მონაწილეებს აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი არჩილ ხაბაძე შეხვდა. იგი მოსახლეობას ალტერნატიულ ტერიტორიებს და იქ მიწის თანაბრად გადანაწილებას სთავაზობს, რაც აქციის მონაწილეებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ბოლნისელი მაღალჩინოსანი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის აღების ფაქტზე ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ჯონი ხეცურიანი და მოქალაქე მამუკა გასვიანი დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა საჯარო მოხელემ, თანამზრახველის დახმარებით, ბოლნისის ტერიტორიაზე ბენზინგასამართი სადგურის სარეკონსტრუქციო ნებართვის გაცემაში დახმარების გაწევის სანაცვლოდ, მოქალაქისაგან ქრთამის სახით აიღო 2 ათასი ლარი თანხა.

დამნაშავეებს თავისუფლების აღკვეთა ექვსიდან ცხრა წლამდე ემუქრებათ.

◎ ჩვენი კარაბადინი

უნდა მოასწრო ბავშვის 30 წლამდე გაჩენა

45 წლისა კი ხელოვნურადაც ველარ დაფეხმძიმდები

თანამედროვე ტექნოლოგიები მეანობასა და გინეკოლოგიაში მივიდნენ იქამდე, რომ ზოგჯერ შეუძლიათ მოატყუონ თავად ბუნებაც კი.

როგორ შეიძლება გაჩნდეს ბავშვი საშვილოსნოს გარეშე? როდისაა უკეთესი პირმშოს გაჩენა? საჭიროა აიკრძალოს უფასო აბორტები? ამ და სხვა შეკითხვებზე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარმა მეან-გინეკოლოგმა ლეილა ადამიანმა გვიპასუხა.

მკვლელობათა აკრძალვა?

— ლეილა ვლადიმერის ასულო, სახელმწიფო დუმა გვთავაზობს აიკრძალოს უფასო აბორტების გაკეთება. აიო, მოქალაქეებმა გადასახადებით არ უნდა აანაზღაურონ მკვლელობაო.

— ამ ოპერაციების ჩვეულებრივ რეჟიმში გაკეთება არ შეიძლება, ამას დაბრკოლებები უნდა ჰქონდეს. მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც შეუძლებელია ქალს აუკრძალო. ამიტომ უფრო მნიშვნელოვანია, კი არ აუკრძალო, არამედ აუხსნა. აბორტი ორგანიზმისთვის გრიგალივითაა. იგი ყველაფერს წალეკავს თავის გზაზე —შედეგად გვაქვს ფსიქოზები, ნევროზები, ანთებები, პერიტონიტები, სისხლის დენები. რეპროდუქტიული ორგანო უფლისგან გვაქვს ნაბოძები, დიდი ხანია გულის გადანერგვაც კი ხდება, საშვილოსნოსი კი მხოლოდ ახლა. აქამდე 11 გადანერგვა წარმატებული იყო. ეს უნიკალური სისტემაა. ახლა კანონით აბორტის წინ იძლევიან ერთ კვირას, რომ მოიფიქრონ, ამ დროს კი ქალთან ექიმები და ფსიქოლოგები მუშაობენ. და ასეთი მიდგომა უკვე იძლევა შედეგებს. მაგალითად, 2009 წელს იყო 1,16 მილიონი აბორტი, 2013 წელს — 880 ათასი. თუმცა, რასაკვირველია, ეს მაინც ძალიან ბევრია. მაგრამ უნდა დავიწყოთ ბავშვებიდან, ველაპარაკოთ მათ კონტრაცეპციის შესახებ.

— რომელია ბავშვის დაბადებისთვის ოპტიმალური ასაკი?

— ჩემი აზრით, ადამიანისა, რომელიც მეანობისა და გინეკოლოგიის დარგში 44 წელია მუშაობს... 20-დან 30-33 წლამდე. რასაკვირველია, დღეს პაციენტები ზოგჯერ პირველად აჩენენ შვილებს 40-50 წლის ასაკში. მაგრამ რა ფასად? ქალი ასაკთან ერთად „იძენს“ დაავადებათა მთელ თაიგულს. თითოეულ მათგანს შეაქვს თავისი დრამატული წვლილი ორსულობისა და მშობიარობის პერიოდში, დედისა და ბავშვის შემდგომ მდგომარეობაში.

— ღელავთ სანქციების გამო? მოწყობილობას სად აიღებთ?

— მთელ ტექნიკას ვერ შეიძენ მხოლოდ ევროპასა და ამერიკაში. ყოველ შემთხვევაში ლითონის ინსტრუმენტების ნაწილში ეს პრობლემა არაა. ჩვენთან არის სამამულო მოწყობილობა. საერთოდ, დარწმუნებული ვარ: გამოსავალს მოვნახავთ. ნებისმიერი ომი მშვიდობით მთავრდება. ნებისმიერი სანქციაც შეთანხმებით მთავრდება.

სასწაული ექიმებისგან

— მოსკოვში გაიმართა რეპროდუქციული მედიცინის საერთაშორისო კონგრესი. იყო სენსაციები?

— იყო სენსაციებიც, და მეცნიერების ვარსკვლავებიც. მედიცინა ხომ პოლიტიკის გარეშეა. მე უკვე მქონდა დაგეგმილი ერთობლივი პროექტები უცხოელ კოლეგებთან სამი წლით ადრე. მოვიდა ჩვენთან სახელგანთქმული პროფესორი მეტს ბრენსტროიმი, რომელმაც პირველმა მსოფლიოში წარმატებით გადაუნერგა ქალს საშვილოსნო. ამ ცოტა ხნის წინათ მისმა პაციენტმა, 36 წლის შვედმა ქალბატონმა მშვიდობიანად შობა ბავშვი. სხვათა შორის, ორგანოს დონორი 61 წლის ქალი გახდა.

— ჩვენმა ექიმებმა რითი გაგვაოცეს?

— ჩვენი ქირურგებიც უკეთებენ უნიკალურ რეკონსტრუქციულ ოპერაციებს პაციენტ ქალებს, რომლებიც ქალთა ორგანოების განვითარების სნეულებებით დაიბადნენ (როდესაც საშო საერთოდ არაა). მაგრამ უფრო საჭირბოროტოა — ფეხმძიმობის გადაუტანლობის მკურნალობა. ეს საერთოდ უბედურებაა თანამედროვე მეანობაში. და სწორედ ამ დარგშია თავმოყრილი ბევრი რეალურად ახალი ტექნოლოგიები, ახალი პრეპარატები. დღეს ჩვენ შეგვიძლია, უზრუნველვყოთ, რომ ქალმა შობოს ბავშვი პლაცენტის წინ მდებარეობის (ფეხმძიმობის მეტად სახიფათო გართულებაა, რასაც თან ახლავს ძლიერი სისხლდენა), ავთვისებიანი სიმსივნეებისაც კი — დროს... გაჩნდა ახალი პრეპარატები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ზოგიერთ შემთხვევაში ვუმკურნალოთ საშვილოსნოს მიომას (კეთილთვისებიანი სიმსივნე კუნთოვანი ქსოვილისა, ხშირად ვითარდება საშვილოსნოში — რედ.) ოპერაციის გარეშე. შესაძლებლობის შესაბამისად, ვცდილობთ შევამციროთ საკეისრო კვეთის რიცხვი — ესეც თანამედროვე მედიცინის უბედურებაა, რათა ქალმა კვლავ შესაძლებლობის შესაბამისად იმშობიაროს ბუნებრივი გზით.

ინტერნეტ-გამოკითხვა

ქალის რომელი ასაკია ოპტიმალური ბავშვის გაჩენისთვის?

30 წლამდე — 33 პროცენტი (1902 ხმა).
25 წლამდე — 32 პროცენტი (1857 ხმა).
ასეთი ასაკი არ არსებობს, ყველა თავად წყვეტს თავის საკითხს — 22 პროცენტი (1305 ხმა).
35 წლამდე — 11 პროცენტი (633 ხმა).
20 წლამდე — 2 პროცენტი (192 ხმა).
სულ იყო: 5889 ხმა.

იულია ბორტა

◎ ათი ბიზნესრჩევა

რამდენ ფულს კარგავ, როცა ცდები?

ფული წარმატების მხოლოდ ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია

ჯორჯ სოროსი

ჯორჯ სოროსი თანამედროვეობის ერთ-ერთი ცნობილი ფინანსისტი და ფილანთროპია. ამ ადამიანმა უდიდესი ფული დააგროვა. მისი ქონება დღეს 39,6 მლრდ დოლარია.

დაიბადა 1930 წელს ბუდაპეშტში, საშუალო შეძლების ებრაულ ოჯახში — მისი ნამდვილი გვარი შვარცია. მამამისი ადვოკატი იყო. ოჯახმა გვარი უნგრული ვარიანტით შეიცვალა და ჯერ შოროშად იქცა, მერე კი — ამერიკულად სოროსად.

ჯორჯ სოროსმა ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა დაამთავრა. ინგლისში საგალანტერიო ფაბრიკაში მუშაობდა. მერე კი — კომივოიაჟორად, თუმცა, გამუდმებით ეძებდა სამუშაოს ბანკში. ბანკში მუშაობის დაწყებისთანავე დაინტერესდა ბირჟით და სწორედ აქ დაიწყო მისი თავბრუდამხვევი კარიერა. სოროსი აშშ-ში გადაბარგდა, უოლ-სტრიტზე საბროკერო ფირმაში დაიწყო მუშაობა. აშშ-ში მისი კარიერა საერთაშორისო არბიტრაჟით დაიწყო — ფასიან ქაღალდებს ყიდულობდა ერთ ქვეყანაში და ყიდდა — მეორეში. საბირჟო მაქინაციებით მალე გამდიდრდა, რასაც მოჰყვა უამრავი საქველმოქმედო პროექტი თუ ფონდი, მათ შორის, უმთავრესი — „სოროსის ფონდი“. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად აკრიტიკებენ, ფინანსურ სპეკულანტს უწოდებენ. ადამიანს, რომელმაც ინგლისის ბანკი გატეხა, ბრალად სდებენ სხვადასხვა ქვეყნის შიდაპოლიტიკურ მოვლენებში ჩარევას, ის დღეს მაინც უდავოდ ერთ-ერთი წარმატებული და გავლენიანი ადამიანია.

გთავაზობთ ჯორჯ სოროსის ათ ბიზნესციტატას:

1. სრულიადაც არა აქვს მნიშვნელობა, ხარ თუ არა მართალი. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რამდენ ფულს შოულობ, როცა მართალი ხარ, და რამდენ ფულს კარგავ, როცა ცდები.
2. ჩემი პრინციპია — უპირველესად ისწრაფე იმისკენ, რომ გადარჩე, და მხოლოდ შემდეგ იშოვე ფული.
3. ბიზნესი არც ისე რთულია. ბევრი ადამიანი, რომელსაც საშუალო ინტელექტუალური შესაძლებლობები აქვს, საკმაო ფულს შოულობს. ნამდვილად ჭკვიან ადამიანებს კი შეუძლიათ გამდიდრება, თუ მართლა მიუძღვნიან თავს ამ მიზანს.
4. ფული წარმატების მხოლოდ ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. ზოგჯერ ფულს შეუძლია მეტი ზიანიც კი მოიტანოს, ვიდრე სარგებელი.
5. მე არ ვთამაშობ დადგენილი წესებით, პირიქით, ვცდილობ, თამაშის წესები შევცვალო.
6. ღმერთმა მოკლე მეხსიერება მომცა, რაც მაძლევს საშუალებას, საქმე მქონდეს არა წარსულთან, არამედ მომავალთან.
7. არ მეშინია ყველაფრის დაკარგვის. მე ხომ ჯერ კიდევ მაბია თავი მხრებზე, ამ თავში კი ტვინიც არის.
8. თუ ინვესტირება საინტერესო საქმიანობად მიგაჩნიათ და მისგან სიამოვნებას იღებთ, როგორც ჩანს, ვერაფერს შოულობთ. ნამდვილი ინვესტირება საშინლად მოსაწყენი რამ არის.
9. წარმატების მისაღწევად აუცილებელია დასვენებაც. საჭიროა დრო, რომელიც მხოლოდ თქვენ უნდა გეკუთვნოდეთ.
10. თქვენი პრობლემა ის არის, რომ საინტერესო საქმის გაკეთება გინდათ. ადამიანისთვის, რომელსაც გამდიდრება უნდა, სულერთია, რას აკეთებს. ის მხოლოდ საბოლოო მოგებაზე ფიქრობს. მთელი დღე ფიქრობს მხოლოდ იმაზე, როგორ იშოვოს მეტი ფული. თუ ეს იმას ნიშნავს, რომ უამრავ დახლს დადგამს ფეხსაცმლის საწმენდად, მაშინ სწორედ ეს იქნება მისი საქმე.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **გუშინ** კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ როგორი მავნე ყოფილა თამბაქოს მოწევა. სიგარეტის მოსაწევად სამზარეულოში შევედი, იქ კი ცოლმა სადილის კეთება დაიწყო, ჰოდა ერთი საათი ხახვს ვჭრიდი და მწვანილს ვარჩევდი!

* * *

— **ბიჭო**, ჭიჭიკიე, ცოლს თვალთან ფარანი რეიზა დოუსვი?

— უფრო კარქა რო დამინახოს იმიზა!

* * *

მას შემდეგ, რაც ჩვენი პოპულარული ტელეწამყვანი ფრანგ მღებავს გაჰყვა ცოლად, თავის წრეში ფრანგული მხატვრობის მცოდნედ ითვლება.

* * *

— **ბუჭუჭია**, ქალიშვილს მზითევში „ვეფხისტყაოსანი“ თუ გაატანე?

— **სახლიდან** გეიქცა და ველარ დევეწიე, რომ გადამეცა!..

* * *

— **რასა** შვრები, მიხო, რას საქმიანობ?

— **რა** ვი, აბა... სააქციო საზოგადოება ჩამოვაყალიბე შეუზღუდავი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობითა და ვარ ჩემთვის!..

* * *

ცინიკოსი — ესაა კაცი, რომელიც ყვავილებს რომ ყნოსავს, თვალებით კუბოს ეძებს.

* * *

— **ეგ** რა ჰქენი, ვანო! მე შენ ადგილას თავს მოვიკლავდი, შენ კი აიღე და ცოლი მოიყვანე?!.

* * *

სხვისი რჩევების მოსმენა ჯანმრთელობისთვის მავნე არ არის, ჯანმრთელობისთვის მავნეა სხვისი რჩევების აყოლა.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24